# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№37 (10040) 2026 წლის 30 მარტი, ორშაბათი




## „მამულით მთვრალი“

# ძეგლების ხმა...

## ზვიად გამსახურდიას თხოვნით 35 წლის წინ შექმნილი ერთი დოკუმენტი

იხ. 5 გვ.

31 მარტი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა, კაცისა, რომელიც ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიის გულმხურვალე მცოდნე და გულშემატკივარი იყო. მთელი თავისი მოღვაწეობით ის ცდილობდა, დაეცვა ქართული ისტორიული კულტურა, რათა საქართველოს და ქართველ ხალხს თამამად შესძლებოდათ თავის წარმოჩენა მსოფლიოს წინაშე, როგორც მდიდარი ისტორიული კულტურის მემკვიდრეებს.




# ეს 100 და სხვა მრავალი!..

**შარშანდელი 7 სექტემბრის შემდეგ 5 მატჩი ისე ჩაატარა საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა, რომ 1 გამარჯვებაც ვერ მოიპოვა (1 ფრე, 4 წაგება), რომელიც ისტორიაში მე-100 იქნებოდა.**

ეს ღირსშესანიშნავი ფაქტი გუშინ კაუნასში მოხდა, სადაც **მიქაუტაძის** დუბლით მოსახდენი რეალობად ლიეტუვასთან ვაქციეთ – 2:0.

ეს ვილიარეალის ბომბარდირის 22-ე და 23-ე გოლებია ჯვაროსანთა მაისურით **(შოთა არველაძე – 26, ხვიჩა კვარაცხელიაა – 22).**

დავძენთ, რომ ისრაელთან რამდენიმე დღის წინანდელი სპარინგისგან განსხვავებით, გუნდს ჩაკვეტაძე, აზაროვი, დვალი და დავითაშვილი ძირითად შემადგენლობაში დაუბრუნდნენ.

**მორიგი სანაკრებო ფანჯარა უეფას ივნისში აქვს ჩანიშნული.**

# რატომ გახდა ანაკლია

## ამერიკული დელეგაციის

# ინტერესის საგანი?



იხ. 4 გვ.




იხ. 3 გვ.

# ძებნილი ადეიშვილი

## უკრაინის ინტერპოლს უხელმძღვანელებს



**პუბლიკაციის დასასრული**

6

შარლ დე გოლი:

# სტალინი მარტო წარსულს არ ეკუთვნის, ის მომავლის ისტორიის შემქმნელიც არის!

## საქართველო–ევროკავშირი:

# კანდიდატობიდან ალტერნატივობამდე




იხ. 2 გვ.

ჩვენი ხელისუფლების გზავნილი იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის არჩევანი, უპირველესად, ეფუძნება სახელმწიფო სუვერენიტეტის, ეროვნული იდენტობის, უსაფრთხოების, სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას.

დავით ახლოური:

# ახალგორის ინკვიზიცია




ქსნის ხეობის წარსულიდან

იხ. 9 გვ.

# საქართველო–ევროკავშირი: კანდიდატობიდან ალტერნატივობამდე




**ბრიუსელსა და თბილისს შორის გართულებულმა ურთიერთობებმა, ფაქტობრივად, განაპირობა ის, რომ მოკრძალებული ეკონომიკური პოტენციალის მიუხედავად, საქართველოს, როგორც ერთგვარი „ქრისტიანული ღირებულებების ევროპული ციხესიმაგრის“ გეოპოლიტიკური მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა.**

**საქართველოს ხელისუფლებამ შეგნებულად უარი თქვა ე.წ. „მეორეხარისხოვანი ევროპელის“ როლზე და არ დაემორჩილა ბრიუსელის ბიუროკრატიის მოთხოვნებს, მათ შორის ისეთსაც, რომელიც ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებისთვის საზიანოდ მიიჩნეოდა. ოფიციალურ თბილისს, ფაქტობრივად, სთხოვდნენ, დაეთმო სახელმწიფო სუვერენიტეტი და ეროვნული ინტერესები, გაეტარებინა ლიბერალური დღის წესრიგი, რომელიც, კრიტიკოსთა შეფასებით, ეწინააღმდეგებოდა ტრადიციულ ოჯახურ და მორალურ ღირებულებებს.**

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მმართველი წრეები ჯერ არ არიან მზად ოფიციალურ თბილისთან ურთიერთობისთვის, ქვეყნის როლი ევროპულ პოლიტიკაში აშკარად გაიზარდა. საქართველო თანდათან იძენს ე.წ. **„ევროპის ქრისტიანული ცენტრის“** იმიჯს.

ბევრი ლიბერალი ევროპელი ლიდერისგან განსხვავებით, მათ შორის, საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონისგან საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებულ პრიორიტეტს ანიჭებს ქრისტიანულ ღირებულებებს და მათ დაცვაზე აქტიურად საუბრობს. მაგალითად, პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** 2026 წლის 21 მარტს, უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გამართულ კონსერვატიული პოლიტიკური მოძრაობის კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ქრისტიანობა საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია და ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანა წელს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლის იუბილეს აღნიშნავს.

**„საუკუნეების განმავლობაში, რწმენა აყალიბებდა ჩვენს ღირებულებებს, კულტურასა და ზნეობრივ სტანდარტებს. ის მრავალი თაობის განმავლობაში ძალისა და მიმართულების წყაროდ რჩებოდა, რაც ჩვენს ერს ეხმარებოდა სირთულეების გადალახვასა და ისტორიის ურთულეს პერიოდებში საკუთარი იდენტობის შენარჩუნებაში. ქრისტიანული კულტურული საფუძველი დღემდე ჩვენი საზოგადოების იდენტობის მთავარ საყრდენად რჩება“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი კობახიძემ ისიც აღნიშნა, რომ ისტორიულად ქართველები ევროპას განიხილავდნენ სივრცედ, სადაც შესაძლებელი იყო ქრისტიანული იდენტობის შენარჩუნება.

ქრისტიანული ღირებულებები ქართული სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვან საფუძვლად რომ რჩება, მკაფიოდ გამოიკვეთა კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის გარდაცვალების შემდეგ. იგი მიმდინარე წლის 17 მარტს, 93 წლის ასაკში გარდაიცვალა. ქვეყანაში გამოცხადდა გლოვა 18-დან 22 მარტამდე. ეს პერიოდი საზოგადოებამ, ფაქტობრივად, როგორც საერთო ეროვნული გლოვა, ისე განიცადა.

მეზობელი ქვეყნების ლიდერებმა, მათ შორის, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა და თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, ქართველ ხალხს სამძიმარი გამოუცხადეს. ამასთან, ევროპული სახელმწიფოების ლიდერების მხრიდან მსგავსი გამოხმაურება არ დაფიქსირებულა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მანამდე აქტიურად გამოხატავდნენ პოზიციებს საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, **შალვა პაპუაშვილმა** ამ გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, ევროპელი ლიდერები სწრაფად რეაგირებენ მათთვის არასასურველ პოლიტიკურ მოვლენებზე საქართველოში, თუმცა „ქართველი ხალხისთვის ასეთ მძიმე პერიოდში შესაბამისი ემოციური და პოლიტიკური მხარდაჭერა არ გამოუხატავთ.

იმავდროულად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა **მაკა ბოჭორიშვილმა** ბუდაპეშტში, 23 მარტს გამართულ პოლიტიკური გაერთიანება „ევროპის პატრიოტების“ ასამბლეაში გამოსვლისას, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ევროინტეგრაციის პროცესში ეროვნული ინტერესების დაცვის აუცილებლობაზე.

მისი განცხადებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო ევროპულ სტრუქტურებს, განსაკუთრებით ევროკავშირს, სუვერენიტეტის დაცვის მთავარ გარანტად მიიჩნევდა, რის გამოც ქვეყანამ წევრობაზე განაცხადი შეიტანა და 2014 წელს, ასოცირების შეთანხმებას მოაწერა ხელი. თუმცა, მისი შეფასებით, შემდგომ პერიოდში ევროკავშირში გაწევრების საკითხი გადაიქცა პოლიტიკური ზეწოლისა და შიდა საქმეებში ჩარევის ინსტრუმენტად.

მისი თქმით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა წლიურად, დაახლოებით, 9.5%-ს შეადგენს, რაც ევროპაში ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია. „ამ შედეგის მისაღწევად აუცილებელია ეროვნული სუვერენიტეტის დაცვა და იმგვარი პოლიტიკის გატარება, რომელიც არ შექმნის საფრთხეს მშვიდობისთვის ამ რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში“, – აღნიშნა ბოჭორიშვილმა.

**საერთო ჯამში, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების გზავნილი იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის არჩევანი, პირველ რიგში, ეფუძნება სახელმწიფო სუვერენიტეტის, ეროვნული იდენტობის, უსაფრთხოების, სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას.**

**Caliber.Az-dan** თარგმნა
**ქეთი გიორგაძემ**

# თბილისში PLANET HOLLYWOOD-ის პირველი სასტუმრო გაიხსნება

**საერთაშორისო ჯგუფი Planet Hollywood Resorts International-ი თბილისში თავის პირველ პროექტს იწყებს. Planet Hollywood Hotel & Casino თბილისი კავკასიის რეგიონში ბრენდის პირველი სასტუმრო იქნება.**

კომპანიის განცხადებით, Planet Hollywood Hotel & Casino თბილისი საქართველოს პირველი სრულად ინტეგრირებული საკურორტო დანიშნულების ადგილი იქნება, რომლის მიზანიც მაღალი კლასის სტუმართმოყვარეობისა და ბრენდის საფირმო, გასართობი თემატიკის მქონე ესთეტიკის შერწყმაა.

პროექტის მშენებლობა დედაქალაქის ცენტრში უკვე მიმდინარეობს. ის წარმოადგენს ტრანსფორმაციულ, ორკოშკიან ლუქს კლასის კომპლექსს, რომელიც ჯამში, 1 200 ნომერს აერთიანებს. პროექტი მოიცავს 500-ნომრიან Planet Hollywood-ის სასტუმროსა და კაზინოს, ასევე 600-ნომრიან Radisson Blu-s ლუქს კლასის სასტუმროს. კომპლექსში 5 000 კვ.მ.-მდე ფართობზე კაზინო, 4 000 ადგილზე გათვლილი გასართობი და ღონისძიებების სივრცე განთავსდება, 6 500 კვ.მ.-ზე მეტი ფართობის სივრცე კი Harvey Nichols-ის სავაჭრო ზონას, ასევე საერთაშორისო რესტორნებს, ღამის კლუბებსა და სხვა ობიექტებს დაეთმობათ. პროექტი „ორბი ჯგუფთან“ და „ბლოკ ჯგუფთან“ პარტნიორობით, ასევე Iconic Entertainment-თან ასოცირებით ხორციელდება. ვარაუდობენ, რომ პროექტი 2 000 მუდმივ სამუშაო ადგილს შექმნის და ქალაქის ტურიზმზე დაფუძნებულ ეკონომიკურ ზრდას კიდევ უფრო დააჩქარებს.

**„ეს წარმოადგენს გადამწყვეტ ნაბიჯს Planet Hollywood ბრენდის გლობალური ევოლუციის გაგრძელებაში. თბილისი გამორჩეული ხასიათისა და პოტენციალის მქონე ქალაქია. ჩვენს პარტნიორებთან ერთად ვქმნით ისეთ დანიშნულების ადგილს, რომელიც აერთიანებს გართობას, სტუმართმოყვარეობასა და შთამბეჭდავ გამოცდილებას ისე, რომ ერთდროულად ამბიციურიც იყოს და ბაზრისთვის ავთენტურიც“,** – განაცხადა Planet Hollywood-ის დამფუძნებელმა **როჯერ ერლმა.**

ინტეგრირებული საკურორტო მოდელის დანერგვით, სადაც კაზინო, სასტუმრო და გართობა ერთი ჭერის ქვეშ ერთიანდება, Planet Hollywood მიზნად ისახავს, გამოიყენოს თბილისის, როგორც მაღალმხარჯველობითი, დასასვენებელი მოგზაურებისთვის მთელი წლის განმავლობაში მიმზიდველი ლოკაციის ევოლუცია.




**„ეს არის გარდამტეხი მომენტი თბილისისთვის. ჩვენ შემოგვაქვს ნამდვილი ინტეგრირებული კურორტი, რომელიც ამაღლებს ქალაქის გლობალურ პოზიციონირებას, მასშტაბურად იზიდავს საერთაშორისო ვიზიტორებს და აწესებს ახალ სტანდარტს სტუმართმოყვარეობის, გართობისა და რეგიონზე ეკონომიკური გავლენის კუთხით“,** – აღნიშნა „ბლოკ ჯგუფის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, **თორნიკე ჯანაშვილმა.**

# საქართველოში მიწის რესურსების მონაცემთა ერთიანი ბაზა შეიქმნა

**საქართველოს მიწის ფონდის შესახებ მონაცემების შეგროვება, დამუშავება და სისტემატიზაცია 20-წლიანი ინტერვალის შემდგომ შესაძლებელი გახდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს ერთიანი ძალისხმევით,** – ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციაშია აღნიშნული.

**„მიწის ფონდის ერთიანი ბაზა მოიცავს ორ მიმართულებას: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესახებ მონაცემებს. სასოფლო-სამეურნეო მიწები გაყოფილია ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებით დაფარულ ფართობებად. რაც შეეხება არასასოფლო-სამეურნეო ნაწილს, აქ მონაცემები წარმოდგენილია მრავალი მიმართულებით: ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, წყლის ფონდის, მყინვარების, ტბების, ურბანული ტერიტორიების შესახებ და სხვა. მოცემულია საქართველოს მიწის ფონდის სრული სურათი დანიშნულებისა და კატეგორიის მიხედვით“,** – განაცხადა მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ **გიორგი მიშელაძემ.**

მისი თქმით, იმ პერიოდში, როცა არ არსებობდა მიწის მონაცემთა ერთიანი ბაზა, სახელმწიფო ეყრდნობოდა საჯარო რეესტრის მონაცემებს რეგისტრირებული მიწების შესახებ, სტატისტიკის მონაცემებს, რომლებიც ხშირად ზეპირ გამოკითხვებს ეფუძნებოდა.

**„ეს მონაცემები გაფანტული და ფრაგმენტული იყო. დღეს მიწის ფონდის ერთიანი ბაზა თავს უყრის სამინისტროს, საჯარო რეესტრისა და სხვა უწყებების, და რაც მთავარია, სააგენტოს მიერ დამუშავებულ მონაცემებს – გადამოწმებულ და დაზუსტებულ ინფორმაციას, რომელიც მუშაობას გაუადვილებს ყველას, როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორს“,** – განაცხადა **მიშელაძემ.**

**მონაცემები საჯაროა და ხელმისაწვდომია სააგენტოს ვებგვერდზე – https://land.gov.ge/Ge/Services/Database, ხოლო საქართველოს მიწათსარგებლობისა და მიწათდაფარულობის ინტერაქტიული რუკა განთავსებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის გეოგრაფიულ საინფორმაციო პორტალზე – https://portal.mepa.gov.ge/Ge/user/map/34.**

## რას ნიშნავს, იყო დასავლეთის აგენტი!

# ინტერპოლის მიერ ძებნილი ადეიშვილი უკრაინის ინტერპოლს უხელმძღვანელებს




**უკრაინული გამოცემის – „ukrrudprom.ua“ – ინფორმაციით, უკრაინის ინტერპოლის ოფისის ხელმძღვანელად შესაძლოა, ინტერპოლის მიერ ძებნილი ზურაბ ადეიშვილი დაინიშნოს. საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი და ექს-გენერალური პროკურორი, უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩეველია. გარდა იმისა, რომ ჩართული იყო უკრაინაში პროკურატურის რეფორმირების პროცესში, ხშირად მონაწილეობდა საერთაშორისო შეხვედრებში, მათ შორის, გერმანიაში.**

**საქართველოში იგი სისხლის სამართლის რამდენიმე უმძიმეს საქმეზეა მსჯავრდებული, რის გამოც მისი თავშესაფარი უკრაინის ხელისუფლებისგან მწვავე პოლიტიკური განხილვის საგანია. უკრაინის ხელისუფლების ამ სკანდალურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე, პოლიტიკურ წრეებში შეფასებები არ კეთდება. ანალიტიკოსების განცხადებით კი, უკრაინამ საბოლოოდ გადალახა ყველა წითელი ხაზი საქართველოსთან ურთიერთობის ნაწილში.**



ანალიტიკოსის **დავით ქართველიშვილის** შეფასებით, ეს უკვე აღარ არის რიგითი საკადრო საკითხი. ეს არის პოლიტიკური ალიყური საქართველოსთვის, მისი დემონსტრაციული შეურაცხყოფა, საჯარო და ცინიკური. მისი თქმით, საუბარია ფიგურაზე, რომელიც ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ასოცირდება, როგორც მიხეილ სააკაშვილის სისხლიანი მმართველობის „არქიტექტორად“ და როდესაც სწორედ ასეთი ადამიანი ინიშნება პოზიციაზე, რომელიც დაკავშირებულია ინტერპოლთან, ეს აღიქმება არა როგორც დამთხვევა, არამედ, როგორც გააზრებული და გამომწვევი ნაბიჯი.

**„ყველაფერს თავი დავანებოთ, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს შემდგომი თანამშრომლობა უკრაინის ინტერპოლის წარმომადგენლობასთან, რომლის სათავეში დაუსწრებლად მსჯავრდებული და თავად ძებნილი ოდიოზური ფიგურაა. ეს უკვე არ არის უბრალოდ არამეგობრული სიგნალი – ეს არის გააზრებული გამოწვევა. თანაც, უკიდურესად პირდაპირი გამოწვევა: „ჩვენ არ ვითვალისწინებთ თქვენს შეფასებებს, თქვენს სასამართლოებს, თქვენს პოლიტიკურ მეხსიერებას“ – ჩვენ ეს ყველაფერი „გვკიდია“...**



პოლიტოლოგი **ირაკლი გოგავა** აცხადებს, რომ უკრაინის მხრიდან ეს არის ორმაგი სტანდარტი და ცინიზმი. გოგავა ეჭვობს, რომ აღნიშნული საკადრო ცვლილება, შესაძლოა, უკრაინელების გადაწყვეტილება სულაც არ იყოს.

**„დასავლეთის გადაწყვეტილებაა იმიტომ, რომ ადეიშვილი მათი აგენტია. სააკაშვილის ხელისუფლების ზედა ეშელონი იყო სულ სხვადასხვა ქვეყნის აგენტურა. „ვინეგრეტი“ იყო, კრებული სხვადასხვა ქვეყნის დაზვერვებისა, ამიტომ არ მიკვირს ცინიზმი და ორმაგი სტანდარტები. ცხადია, ეს არის საქართველოს მიმართ უპატივცემულობის მორიგი ჟესტი, რომელიც უნდა დავიმახსოვროთ და ჩავინიშნოთ“,** – აღნიშნა For.ge-თან საუბრისას **ირაკლი გოგავამ.**

ცხადია, რომ აღნიშნული საკადრო ცვლილება უკრაინისგან დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილებაა, რადგან უკრაინა არ არის ის ქვეყანა, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს თავის საკადრო პოლიტიკას. ბუნებრივია, რომ ვისი პროტექტორატის ქვეშაც იმყოფება და ვინც ძირითადად გეგმავს უკრაინაში პოლიტიკურ პროცესებს, ალბათობის მაღალი ხარისხით, ეს საკითხიც მათი ინიციატივით არის განხორციელებული. თუმცა, ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი** არ გამორიცხავს, რომ შესაძლებელია, უკრაინის ხელისუფლების რეკომენდაციით მიიღეს თანხმობა ადეიშვილის შესაძლო დანიშვნასთან დაკავშირებით.

**„საერთაშორისო ურთიერთობებში ადამიანური ენით საუბარს გამოვრიცხავ. არ არსებობს ასეთი დამოკიდებულებები. აქედან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ რაც არ უნდა ვმალოთ, აშკარაა, უკრაინა წარმოადგენს საქართველოსადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოს. ყველა მისი ქმედება საკადრო კუთხით იქნება, თუ პოლიტიკური ხასიათის დეზინფორმაციის, სხვადასხვა ტიპის პროვოკაციაა“,** – აცხადებს **კუხალაშვილი.**



მისი თქმით, ყველაფერს საზღვრავს სახელმწიფო ინტერესები და ფიქრობს, რომ ამ ეტაპზე, უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილება უკავშირდება მათ სტრატეგიულ ინტერესებს, რომელიც არანაირად არ შედის საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებში. კუხალაშვილის შეფასებით, ხელისუფლებას მართებს უფრო მყარი ნაბიჯების გადადგმა მტრულად განწყობილი სახელმწიფოს მიმართ.

**„აქ უთუოდ არის სადაზვერვო აქტივობის ნიშნები. ერთი რამ მინდა შევახსენო საზოგადოებას და ხელისუფლებას, რომ ადეიშვილი გახლდათ ის პირი, რომელსაც მაღალი დონის სრულიად საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი. აქედან გამომდინარე, ზოგადად ვფიქრობ, რომ მას მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება შეუძლია საქართველოსათვის, თუ უკვე გაკეთებული არ აქვს“,** – აცხადებს For.ge-თან საუბრისას **დავით კუხალაშვილი.**

**თამთა ქარჩავა**

# „მშენჯგუფის“ გაუმაძღარი ღორები და მუნიციპალური განვითარების ფონდის მომხვეჭელები

## პროკურატურამ 16 საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის გამოყოფილი დიდი ოდენობით თანხის, ორგანიზებული ჯგუფის მიერ მითვისების, სამსახურებრივი გულგრილობისა და ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტებზე 9 პირს ბრალდება წარუდგინა



**საქართველოს პროკურატურამ, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, 1550 ბავშვზე გათვლილი 16 საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის გამოყოფილი დიდი ოდენობით თანხის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მითვისების, ორგანიზებული ჯგუფის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, სამსახურებრივი გულგრილობისა და ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტებზე 9 პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო, მათ შორის 4 პირი დაკავებულია.**

საქართველოს გენერალური პროკურატურის კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2023-2025 წლებში, 9 ტენდერის ფარგლებში, სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და სამშენებლო კომპანია შპს „მშენჯგუფს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულებები: ხელვაჩაურის, ქედის, ნინოწმინდის, წალენჯიხის, ხობის, ლაგოდეხისა და კასპის მუნიციპალიტეტებში, საერთო ჯამში 1550 ბავშვზე გათვლილი, 16 საბავშვო ბაღის მშენებლობა/რეაბილიტაციის თაობაზე.

**აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად შპს „მშენჯგუფს“ საერთო ჯამში 18 648 018 ლარი ჩაერიცხა, საიდანაც 4 762 587 ლარი, წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, მიითვისეს ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, რითაც სახელმწიფოს დიდი ოდენობის ქონებრივი ზიანი მიადგა. იმავე პერიოდში, ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, ერთობლივად შეიმუშავეს და განახორციელეს უკანონოდ მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციის დანაშაულებრივი გეგმა, რომლის მიხედვითაც მითვისებული თანხა, სხვადასხვა დანიშნულებით ირიცხებოდა ორგანიზებული ჯგუფის წევრების როგორც პირად, ასევე მათ მიერ დაარსებული სხვა კომპანიებისა და მათთან დაახლოებული პირების საბანკო ანგარიშებზე. აღნიშნული ქმედებების შედეგად განხორციელდა 4 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ათეულობით უძრავი ქონებისა და კომპანიის შეძენა. შემდგომში, აღნიშნული ქონების ნაწილი, გადამალვის მიზნით გადაფორმდა სხვადასხვა კერძო და იურიდიული პირის სახელზე.**

**გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ ცალკეულმა ხელმძღვანელმა პირებმა, დაუდევარი დამოკიდებულების გამო არაჯეროვნად შეასრულეს მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობები, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია.**

იხ. 8 გვ.



# რატომ გახდა ანაკლია ამერიკული დელეგაციის ინტერესის საგანი?

**საქართველოსა და აშშ-ს შორის ურთიერთობებში ახალი, პრაგმატული ეტაპი იწყება. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის საქმეთა ბიუროს წარმომადგენლის პიტერ ანდრეოლის ვიზიტი საქართველოში, რომელიც 23 მარტს დაიწყო, მმართველი გუნდისთვის სტრატეგიული პარტნიორობის თვისობრივად ახალ საფეხურზე გადასვლის წინაპირობაა.**

## „სუფთა ფურცელი“ და ხელშესახები შედეგები

**პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ** გადაცემა **„imedi live“**-ში პირდაპირ განაცხადა, რომ საქართველო მზად არის ურთიერთობების სრულფასოვანი აღდგენისთვის. მისი თქმით, გოლოდ-რონიდელი კომუნიკაციები ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა:

**„ვინარჩუნებთ ამ ოპტიმიზმს და ჩვენი მხრიდან კიდევ ერთხელ გამოვხატავთ მზაობას, რომ ყველაფერი გავაკეთოთ სუფთა ფურცლიდან და გზამკვლევით... მანამდე არსებობდა სტრატეგიული პარტნიორობა, თუმცა ეს იყო მთლიანად ქაღალდზე. სტრატეგიული პარტნიორები ვიყავით ქაღალდზე, არ იყო არც რაიმე კონკრეტული შედეგები... პირიქით, ზუსტად ამ პერიოდში, როცა ჩვენ ჯერ კიდევ გვქონდა სტრატეგიული პარტნიორობა, წინა ადმინისტრაცია საქართველოში გვიწყობდა რევოლუციებს“.**

პრემიერის განმარტებით, პოლიტიკა პრაგმატული მოვლენაა, სადაც ორივე ქვეყნის ინტერესები უნდა დაბალანსდეს. მისი თქმით, ერთადერთი კრიტერიუმი, რომელიც ურთიერთობების რეალურ გადატვირთვაზე მიანიშნებს, სწორედ სტრატეგიული პარტნიორობის განახლებაა, რომელიც „რეალური ხელშესახები შედეგების მქონე“ უნდა იყოს.

## ანაკლიის პორტი — ამერიკული ინტერესების ცენტრი

**ვიზიტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი პიტერ ანდრეოლის ანაკლიაში ჩასვლა აღმოჩნდა. 26 მარტს, ამერიკულმა დელეგაციამ, ელჩის მოვალეობის შემსრულებელ ალან პერსელთან ერთად, ადგილზე დაათვალიერა სამშენებლო სამუშაოები. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, მათ მეგზურობას მინისტრის მოადგილე თამარ იოსელიანი უწევდა.**

ანალიტიკოსთა შეფასებით, ის ფაქტი, რომ ამერიკელი მაღალჩინოსანი პირადად დაინტერესდა ბელგიური კომპანია „იან დე ნულის“ მიერ წარმოებული სამუშაოებით, ადასტურებს, რომ აშშ-ს საქართველოში შენარჩუნებული აქვს სერიოზული ინტერესები. სწორედ ეს ეკონომიკური ინტერესი — „შუა დერეფნის“ განვითარება და ანაკლიის პორტის წარმატება, შესაძლოა, გახდეს ის საძირკველი, რომელზეც ურთიერთობების გაუმჯობესება დაშენდება.

* * *

**მიუხედავად სახელისუფლებო გუნდის ოპტიმიზმისა, ოპოზიციის წარმომადგენლებმა პიტერ ანდრეოლისთან შეხვედრა კვლავ რადიკალური რიტორიკისთვის გამოიყენეს.**

ნიკა გვარამიამ შეხვედრის შემდეგ აქცენტი კვლავ დესტაბილიზაციაზე გააკეთა:

**„ვილაპარაკეთ პოლიტიკურ ტყვეებზე... ვუთხარით, რომ ჩვენ ტყვეებით არ ვივაჭრებთ, უკან არ დავიხევთ, დიდი აქციები იქნება... ვიდრე ამ ქვეყანაში ივანიშვილია, არავითარი ანაკლიის პორტი და მარშრუტი კასპიიდან შავ ზღვამდე საქართველოში არ იქნება“**, — განაცხადა გვარამიამ.

**თინა ბოკუჩავამ** აღნიშნა, რომ ეს ვიზიტი ურთიერთობების აღდგენას ვერ მოემსახურება, ხოლო გრიგოლ გეგელიამ კვლავ „ქოცური რეჟიმის“ ამერიკულ ინტერესებთან შეუთავსებლობაზე ისაუბრა. თავის მხრივ, ლევან ცუცქირიძემ სტუმარს სავიზო ბარიერების შემსუბუქება სთხოვა.

## პრაგმატიზმი პრიორიტეტია

**პიტერ ანდრეოლის ვიზიტი ცხადჰყოფს, რომ მიუხედავად შიდა პოლიტიკური ხმაურისა, აშშ-თვის საქართველო კვლავ რჩება სტრატეგიულ წერტილად შავ ზღვასა და კასპიის რეგიონს შორის.**

მმართველი გუნდის მზაობა, დაიწყოს საუბარი „სუფთა ფურცლიდან“ და დააბალანსოს ორივე მხარის ინტერესები, ქმნის რეალურ შანსს, რომ სტრატეგიული პარტნიორობა ქაღალდიდან საქმეზე გადავიდეს. ანაკლიის პროექტისადმი ამერიკული მხარის მაღალი ინტერესი კი სწორედ ამ ეკონომიკური გადატვირთვის პირველი სიგნალია.



„ხალხის ძალის“ წევრი და ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** For.ge-სთან ამბობს, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის ანაკლიაში სტუმრობა მიანიშნებს იმაზე, რომ ე.წ. ოპოზიციის მიერ, თავის დროზე, ამ თემაზე ატეხილი აჟიოტაჟი აბსურდი იყო.

**„ცრუ განგაში და ფეიკ-მოლოდინები, თითქოს, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს დასჯიდა იმის გამო, რომ ამ სტრატეგიული ობიექტის მშენებლობა ჩინეთის ხელში ჩაავდო და თითქოს მათ მართვის სადავეებში მოექცეოდა. საქართველოზე გამავალი ყველა საერთაშორისო პროექტი ყველა დაინტერესებული მხარისთვის ღიაა, მათ შორის აშშ-თვის. საქართველო არის ზუსტად ის სატრანზიტო გზა, ნავსადგური თუ პორტი, რომელიც ემსახურება და მოემსახურება, მათ შორის, ამერიკული კაპიტალის ინტერესებს. ამიტომ უნდა გვიხაროდეს, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანი ჩავიდა ადგილზე, დაათვალიერა და შეაფასა. ეს არის ის პროექტი, რომლითაც სარგებელს ბევრი მხარე მიიღებს, მათ შორის, ამერიკაც“**, — ამბობს ქართველიშვილი.

**მისივე თქმით, პრემიერმა განაცხადა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გადატვირთვა და აღდგენა გადის იმ ფაქტზე, რომ შეერთებულმა შტატებმა უნდა გააკეთოს ოფიციალური განაცხადი.**

**„პრემიერმა თქვა, რომ ის, რაც ბაიდენის ადმინისტრაციის მხრიდან 2024 წელს შეწყდა სტრატეგიული თანამშრომლობის კუთხით, აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მხრიდან უნდა იქნას აღდგენილი. ეს იქნება პატარა სიგნალი იმის დადასტურების მიზნით, რომ ჩვენი პრემიერის ეს განცხადებები შესმენილია. აი, ამ გაფუჭებული ურთიერთობის განახლების და აღორძინების გზას დაადგა. რა თქმა უნდა, საქართველომ უნდა დაიკმაყოფილოს ის, თითქოს, ბევრისთვის უმნიშვნელო როლი, რასაც გზაჯვარედინი, დერეფანი, სატრანსპორტო-სატრანზიტო, ციფრულ-ტექნოლოგიური ჰაბი და ა.შ. ჰქვია“**, — აცხადებს ქართველიშვილი.

## პატარა რგოლი დიდ საერთაშორისო პროექტებში

**ანალიტიკოსის განცხადებით, იმ ქვეყნის პირობებში, რომელსაც არ გააჩნია სტრატეგიული წიაღისეული, სამხედრო პლაცდარმის დანიშნულება, რომელსაც სხვა ქვეყნები გამოიყენებდნენ მესამე ქვეყნების წინააღმდეგ, ამით საქართველოს უსაფრთხოებას საფრთხეს შეუქმნიდნენ.**

**„საქართველო არის პატარა, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი რგოლი იმ საერთაშორისო პროექტებში, რომლებშიც სასიცოცხლო ინტერესები აქვს ჩადებული ჩინეთს, ევროკავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, მომავალში — ინდოეთსაც და რუსეთსაც, როდესაც უკრაინაში მიმდინარე ომი დასრულდება. მხოლოდ აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძი აღარ იქნება საქართველოზე დამოკიდებული, არამედ სამხრეთ-ჩრდილოეთის სავაჭრო გზაც სწორედაც საქართველოზე იქნება გაყვანილი“**, — ამბობს **ქართველიშვილი**.

მისივე თქმით, თვით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმაც კი აღიარა, რომ ამ ეტაპზე ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა საქართველოა. ამიტომ ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ახლა ჩვენი დანიშნულებაა, ეს სიტუაცია შევინარჩუნოთ.

**„რაც შეეხება ოპოზიციის შეხვედრას სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან და მათ განცხადებებს, ჩვენი ე.წ. ოპოზიცია გუშინდელ დღეშია ჩარჩენილი, როდესაც ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში, მსგავსი ისტერიკები და იდეოლოგიური ნარატივები გასდიოდათ. მათ ვერ შეიგნეს, რომ ხელისუფლებაში, უკვე მეორე წელია, ტრამპის ადმინისტრაციაა. ამიტომ, პირველივე დღეს, რაც მისმა ადმინისტრაციამ გააკეთა, ეს იყო აი, ამ ისტერიული და იდეოლოგიით გაჟღენთილი ფონის ისეთ დონეზე შემცირება, როგორიც არის CNN, „ამერიკის ხმა“, USAID და ათეულობით სხვა მკვებავი დონორი ორგანიზაცია, რომლებიც სწორედ გვარამიას მიერ გაჟღერებულ ნარატივს ფინანსურად ასაზრდოებდნენ. იმ ნარატივით საუბარი, რითაც გვარამია ლაპარაკობს, მარკო რუბიოს წარმომადგენელს მხოლოდ და მხოლოდ გააღიზიანებდა“**, — ამბობს **ქართველიშვილი**.

**ლიკა ბერიკაშვილი**





# „მამულით მთვრალი“

# ძეგლების ხმა... ზვიად გამსახურდიას თხოვნით 35 წლის წინ შექმნილი ერთი დოკუმენტი

**31 მარტი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა, კაცისა, რომელიც ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიის გულმხურვალე მცოდნე და გულშემატკივარი იყო. მთელი თავისი მოღვაწეობით ის ცდილობდა, დაეცვა ქართული ისტორიული კულტურა, რათა საქართველოს და ქართველ ხალხს თამამად შესძლებოდათ თავის წარმოჩენა მსოფლიოს წინაშე, როგორც მდიდარი ისტორიული კულტურის მემკვიდრეებს.**

**წარმოგიდგენთ წერილს, რომელიც შექმნილია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დავალებით, კასპის რაიონის მაშინდელი თავკაცის (პრეფექტის), მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჯემალ დავლიანიძის მიერ. წერილი თავად ჯემალ დავლიანიძემ მოგვაწოდა.**

**წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის უბრალო ანგარიში, ეს არის სარკე, რომელიც გვიჩვენებს საქართველოს ისტორიული ძეგლების გადარჩენისთვის გადაუდებელ საფრთხეებს. ასახავს იმ გეგმის ერთ ნაწილს, რომელიც პრეზიდენტს ჰქონდა დასახული საქართველოს აწმყოსა და მომავლისთვის, რომ დასცლოდა, მისი ხელისუფლება არ დაემხოთ და თავად პრეზიდენტი გაურკვეველ ვითარებაში არ გარდაცვლილიყო...**

**ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული გარდაცვალებიდან 33 წელი გავიდა, თუმცა საკითხი, რაზეც 1991 წელს დაწერილ ამ წერილშია საუბარი, დღესაც აქტუალურია. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა კვლავაც მძიმე მდგომარეობაშია, კვლავაც საჭიროა ბრძოლა და მოღვაწეობა, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის, ისე ქართული კულტურის გადასარჩენად.**



იკორთის მონასტერი



ბელოთის მონასტერი

## გადაუდებელი და მეტად საშური საქმე

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას

**ბატონო ზვიად, თქვენი თხოვნა, აღმეწერა კასპის რაიონში მდებარე ისტორიული ძეგლების ადგილმდებარეობა, რაოდენობა, არქიტექტურული ნაირსახეობა, ფიზიკური ვითარება და ა.შ. დღევანდელ პირობებში, შესაძლებლობის ფარგლებში, ნაწილობრივ შევასრულე.**

**უპირველესად, უნდა მოგახსენოთ, რომ ძეგლების უმრავლესობა სავალალო მდგომარეობაშია.**

ჩემს სიყმაწვილეში ფეხით მაქვს შემოვლილი კასპის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-საყდრები და ჩემი თვალით მაქვს ნანახი ძალიან ბევრი ისტორიული შენობის კედლებზე გაკრული ლითონის ფირფიტა, რომელზეც ეწერა: **„ძეგლი დაცულია სახელმწიფოს მიერ, დამზიანებელი მიცემული იქნება პასუხისგებაში.“**

თუმცა კასპში მრავლადაა ისეთი საყდრები და მომცრო სალოცავებიც, რომლებსაც ამგვარი გამაფრთხილებელი წარწერა არ ჰქონიათ, რადგან ზოგი მათგანი ფუძემდე იყო დანგრეული, ზოგი კი ნახევრად.

ნათლად მახსოვს, რა მძიმე ვითარებაში იყო საბჭოთა პერიოდის საქართველოს ეკლესია-მონასტრები. მაგალითად, მეტეხის ბრწყინვალე ეკლესიაში ქათმების ფერმა იყო მოწყობილი, ახალქალაქში მდებარე როსტომ მეფის ციხესთან მომცრო, გუმბათოვან ეკლესიაში კი ხორბლის შესანახი საწყობი.

ბატონო ზვიად, დღეს საქართველო თავისუფალია და ჩვენს ისტორიულ ძეგლებს, როგორც საკუთარ შვილს, იმგვარი მოვლა-პატრონობა ესაჭიროება.

როცა ადამიანი არ მივა, არ მიეახლება წინაპართა ნაამაგარს, მათ მიერ ჩაყრილ საძირკველთან ან სასოებით მოხატულ ფრესკებთან მუხლს არ მოიყრის, იგი ნელ-ნელა წყვეტს კავშირს წინაპართა ხსოვნასთან და მათ სულებთან. თვით ძეგლი კი უყურადღებობის წყვდიადში იძირება.

1965 წელს ძნელად მისადგომი **ცხორეთის წმინდა გიორგის საყდარი** მოვინახულე. ტაძარს მომცრო გუმბათი სანახევროდ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი და შუაგულში რცხილის ხე იყო ამოსული, რომელიც ფესვებით კედლებს აზიანებდა. მე მოვჭერი ის ხე, მოვასუფთავე ნასაყდრალი, მაგრამ 1984 წელს, როცა იქ კვლავ მივედი სანთლის ასანთებად, კედლები მთლიანად ჩაქცეული დამხვდა, ტყე იყო ყველგან მოდებული.

ასე ნადგურდება ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, სალოცავები, ნატაძრალები. ამიტომაცაა აუცილებელი, რომ მომავალში, საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველომ პირველადი სამუშაოები მიმართოს ისტორიული ძეგლების აღმოჩენაში, აღწერაში, ფოტოგრაფირებაში, გეოგრაფიული სივრცის დადგენაში. საჭიროა არქეოლოგებისა და არქიტექტორების მობილიზაცია, შეიძლება სასინჯი გათხრების მოწყობა და ა.შ.

**ბატონო ზვიად, თქვენ ჩინებულად გახსოვთ კომუნისტების მიერ 1937 წელს დაპატიმრებული და დახვრეტილი წრფელი მამულიშვილის გიორგი ბოჭორიძის სახელი. ნამკითხველს დაზაფრავს მის მიერ სპეციალურ მოხსენებაში მოყვანილი ცნობები ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მდებარე კულტურული ძეგლების მდგომარეობის შესახებ, რადგან ამ უნიკალურ დოკუმენტში ქართველთა უდიდესი ტრაგედიაა გადმოცემული.**

გიორგი ბოჭორიძე ასახელებს ისტორიულ ძეგლებს და ძეგლთა ნაშთებს: იკორთას, თიღვას, მონასტერს, წენარს... ციხე-სიმაგრეებიდან ახსენებს: **ხეითის კლდე-კოშკს, ყორნისის რვა კოშკს, ძალისის, ვანათის და ბელოთის ციხეებს.** დიდი მწუხარებით გადმოგვცემს დანგრეული **ლისის, დოლოთის, ცხრა-კარა ეკლესია-მონასტრების** მდგომარეობის შესახებ, ასევე, ხეითში და დმანისში მდებარე გამოქვაბულების სავალალო ამბებს.

„ცხინვალის მახლობლად დაუქცევიათ ფრესკებიან-ჩუქურთმებიანი და მრავალწარწერიანი **ტბეთის ეკლესია** და მისი ქვები ცხინვალის საავადმყოფოს აბანოსთვის გამოუყენებიათ. ამავ დროს კედლებში ჩაუტანებით 17 ჩუქურთმიან-ფრესკიანი წარწერებით შემკული ქვა. სოფელ ყორნისში დაუნგრევიათ ორი ძველი, ისტორიული შენობა და ქვა სკოლის ასაშენებლად წაუღიათ.

სოფელ რუსთავში დაუნგრევიათ ძველი ეკლესიის გალავანი და სასაფლაოდან ამოუღიათ ძველი ეკლესიის დიდრონი ქვები და ესეც სკოლისთვის წაუღიათ. სოფელ ერედვში ე.წ. წითელი საყდარი დაუნგრევიათ და წარწერიან- ქანდაკებიანი ქვები წყაროს ასაშენებლად მოუხმარიათ. სოფელ ატოცის აღმოსავლეთით, ტყეში მდგომი წმინდა გიორგის ეკლესია დაუქცევიათ ხაბელაანთ უბნელებს და საკუთარი სახლების ასაშენებლად წაუღიათ.

სოფელ ყორნისში გლეხკაც სოსიკო ჩიხოევს რომელიღაც ძველი შენობიდან (მე-18 ს.) მხედრულიწარწერიანი დიდი ქვა წამოუღია და საკუთარ ბუხარში ჩაუშენებია. როგორც გავიგე, ამჟამად, განუზრახავთ ძაღინის ციხე, თავისი კოშკით, ეკლესიის მარნით, საცხოვრებელი შენობებით დაანგრიონ და სკოლა ააშენონ.

## „ძმას ქრისტესმიერს“!

„ერზე მჭმუნვარი ძმათა კრებული
ერის საფიცარ რაინდს გიწოდებს,
შენსკენ ილტვისო სულით წამებული,
მტერთაგან გულში შუბით დაჭრილი,
მაგრამ არასდროს არ დაჩოქილი...
ქრისტეს ჯვარცმით და მამულით მთვრალი.
შენ, წინამძღოლო ძმათა მცირეთა,
შენ, აღმდგინებელო დანგრეულთა,
შენ, მესაიდუმლევ გულთა დაჭრილთა,
შენ, წინასწარმეტყველო მომავლისა!
გფარავდეს წმიდა გიორგი,
გფარავდეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი,
გფარავდეს ძე ღვთისა, ამინ!“

მერაბ კოსტავა

**აქ იშვიათია ეკლესია, რომ არ იყოს გაძარცვული. ეკლესიათა ქონების მიტაცება დაწყებულია 1918 წელს. დღეს ეკლესიაში მხოლოდ კედლებიღაა, დანარჩენი ავლა-დიდება გატაცებულია.**

**ნულის, ერკნეთის, ოქონის ეკლესიები გაუძარცვავთ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე. აქედან – ავნევისა 1922 წ., ერედვისა – 1927 წ., ბელოთისა – 1921 წ., აძვისა – 1924 წ., ჭარების – 1918 წელს.**

**ბელოთიდან გაუტაციათ დიდძალი ვერცხლის ჭურჭელი: სურები, თასები, ბარძიმ-ფეშხუმები, ბეჭდები, მათ შორის იულონ ბატონიშვილის შეწირული. შემოუძარცვავთ კანდელის დიდი ხატი მაცხოვრისა, რომელსაც თავს სდგმია ოქროს შარავანდედი და თვით მთელი ხატი ვერცხლით მოოჭვილი. აქვე, ბელოთის ეკლესიაში, დაუხევიათ აქ დასვენებული ძველი ქართული საომარი დროშა. გერის სალოცავში დაუხევიათ 2 საომარი დროშა.**

**თუ ასეთი ნგრევა-განადგურებაა ქართული ისტორიული ძეგლებისა და ნივთებისა, არა ნაკლებ გაქრობის გზაზეა დამდგარი ძველი გეოგრაფიული სახელწოდებანი,“** – მოგვითხრობს გიორგი ბოჭორიძე.

**ბატონო ზვიად, ზემოაღწერილი ბარბაროსობისაგან საქართველოს არც ერთი მხარე, არც ერთი რაიონი არ არის დაზღვეული. მოგეხსენებათ, ამ მხრივ, რა დღეში ჩააგდეს გურია, სადაც თითქმის ყველა ისტორიული ძეგლი მიწის პირისგანაა აღგვილი.**

ამ წერილს რომ ვწერ, ახლა, ამ წუთს, მახსენდება 1979 წელი, როცა შორეულ ყიზლარში ყოფნისას, ერთად ჩავედით ტარეშოვკის რაიონის სოფელ ალექსანდრ-ნევსკში, სადაც ვახტანგ VI-ის დროინდელი, ამალას ჩამორჩენილი (თუ დარჩენილი) ქართველობა სახლობდა. მაგონდება, როგორ ვეძებდით სოფლის სასაფლაოს ქვებზე ამოკაწრულ წარწერებს, რათა დაგვედგინა მათი გვარ-წარმომავლობა.

მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ ჩვენს თავსატეხს – ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობის საკითხს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თეძმის ხეობა, აქ თითქმის ყოველ ნაბიჯზეა ისტორიული ძეგლი. მდინარე თეძამს რომ აუყვები, სოფელ ჭყოპიანთან, ფრიალო კლდეზე აგებული **დრისის ცნობილი ციხეა,** თავისი გამოქვაბულებით და შიდაციხის ეკლესიით. სოფელ რკონის შესასვლელიდან, მარცხნივ, მდებარეობს **იკვის ბრწყინვალე ეკლესია.**

ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი და არც ყველაფერი მინახავს, თუმცა, თვით რკონი, მოგეხსენებათ, ისტორიულად რკოს კულტის დროინდელი წმინდა ადგილია, სადაც უწინ ქალაქი იყო და ერთ-ერთი თაღოვანი,უბერჭო ხიდი აქაცაა. აღდგენილი და მოვლილი ძეგლებთან, როცა თითოეულთან გზა-ბილიკები გვექნება, ტურიზმის უწყებასთან შეთანხმებით, შეგვიძლია, ჩამოვაყალიბოთ დამხმარე მეურნეობები, სადაც კერძო პირები მოაშენებენ ფუტკარს, საქონელს, ფრინველს. აშენდება მცირე ზომის სასტუმროები ტურისტებისათვის, სადაც გასაქირავებლად ეყოლებათ ცხენები, დაისახება მარშრუტები ერთი ისტორიული ძეგლიდან მეორემდე და ა.შ.

**ახლა მსურს გიამბოთ ერთი საოცრების შესახებ.**

კასპის რაიონში, სოფელ გოსტიბის გზაზე, ტყეში, არის ერთი მომცრო ეკლესია (უფრო კი ნანგრევი), რომელშიც უცნობ ქართველ ხატმქმნელს წმინდა გიორგი გამოუსახავს. ეკლესიას ეწოდება **გველდეზი.** აქ საოცარი ისაა, რომ ხატზე წმინდა გიორგი უცხენოდაა და არ უკავია შუბი, არ მოჩანს გველეშაპი. წმინდა გიორგი დგას მიწაზე, მარჯვენა ხელიდან ჩამოდის გველი და დაბლა მოკეცილს, წმინდა გიორგი დეზებით უჭყლეტს თავს. სწორედ ამიტომაც ჰქვია გველი და დეზი, ანუ გველდეზი. შეგონება ამ ნახატისა ასეთია: კაცმა, პირველად საკუთარი სხეულიდან უნდა გამოდევნოს სიბოროტე და მხოლოდ შემდგომ წარდგეს საზოგადოების წინაშე.

სულ ეს არის ჯერჯერობით, რაც შევძელი. ქვეყანაში ჩამოვარდნილი არეულობა მეტ დროს არ მიტოვებს. ერთი კი ცხადია: სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ:

**1. საქართველოს ისტორიულ ძეგლთა სრული რეგისტრაცია.**

**2. დაწვრილებით აღიწეროს ყოველი სიძველის, წარწერების, ფრესკის მდგომარეობა.**

**3. აღინუსხოს ძველი გეოგრაფიული სახელები და სადაც ისინი გამქრალია, მოვიძიოთ და აღვადგინოთ.**

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე და მფარველი!



პატივისცემით

**ჯემალ დავლიანიძე**

1991 წ. ნოემბერი.


ჰანს ფრიდებურგი


ბერნარდ მონტგომერი


კარლ დენიცი


ალფრედ იოდლი


დუაიტ ეიზენჰაუერი

გერმანიის ხელისუფლება ომის მიწურულამდე არ წყვეტდა მცდელობებს რაიმე სეპარატული გარიგების მისაღწევად დასავლეთის ქვეყნებთან, მაგრამ მათმა ძალისხმევამ უქმად ჩაიარა. დასავლეთი ითხოვდა ერთს: კაპიტულაციას ყოველგვარი პირობის გარეშე, ყველა მოკავშირე სახელმწიფოს წინაშე. მართალია, 4 მაისს გენერალმა ფრიდებურგმა ხელი მოაწერა გენერალ მონტგომერისთან კაპიტულაციის აქტს გერმანიის იმ ჯარებისა, რომლებიც მოქმედებდნენ გერმანიის ჩრდილო-დასავლეთში, დანიაში და ჰოლანდიაში, მაგრამ ეს იყო მხოლოდ საველე სარდლების შეთანხმება, რომლებიც არაფერს ავალდებულებდა მესამე რეიხის მთავრობას. საბოლოოდ დენიცი თავის ბედს დანებდა: მან რეიმსში გენერალი იოდლი გაგზავნა და თან სრული კაპიტულაციის აქტი გაატანა, რომელიც მან გენერალ ეიზენჰაუერს გადასცა. აქტს ხელი მოეწერა 1945 წლის 7 მაისს, ღამის 2 საათზე. ცეცხლის შეწყვეტა უნდა მომხდარიყო მომდევნო შუაღამისას. რამდენადაც კაპიტულაციის აქტს ხელი მოეწერა დასავლელი მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლობის ბანაკში, მოხდა შეთანხმება, რომ სიმეტრიული ხელმოწერა ასევე მოხდებოდა 9 მაისს ბერლინში, საბჭოთა ჯარების მთავარსარდლობის ბანაკში.



## შარლ დე გოლი:

# სტალინი მარტო წარსულს არ ეკუთვნის, ის მომავლის ისტორიის შემქმნელიც არის!

**გუნებრივია, მე ხელიდან არ გამიშვია შემთხვევა, რომ წინასწარ დამესვა მოკავშირეთა წინაშე ფრანგი წარმომადგენლის მონაწილეობა დოკუმენტებზე ხელმოწერის დროს – რეიმსშიც და ბერლინშიც. თვითონ აქტის ტექსტს, რომელიც გასაოცრად უბრალო იყო და იმავდროულად ტრაგიზმსაც ასახავდა, ჩვენ სრულიად ვიწონებდით.**

მაგრამ აუცილებლად ვთვლიდი, რათა საფრანგეთი ამ უდიდესი მოვლენის ოფიციალური მონაწილე ყოფილიყო. უნდა ვთქვა, რომ მოკავშირეებმა თვითონ, პირდაპირ შემოგვთავაზეს მონაწილეობა მიგვეღო. რეიმსში კაპიტულაციის აქტს გერმანიიდან ხელი მოაწერა ალფრედ იოდლმა, აშშ-ის მხრიდან (დუაიტ ეიზენჰაუერის სახელით) მხრიდან – გენერალმა უოლტერ ბედელ-სმიტმა, რუსეთის სახელით – გენერალმა სუსლოპაროვმა, ხოლო საფრანგეთის სახელით ეროვნული თავდაცვის შტაბის უფროსმის მოადგილემ, გენერალმა ფრანსუა სევეზმა.

ბერლინში ხელმოწერის ცერემონია ბევრად უფრო საზეიმო ვითარებაში წარიმართა. კაპიტულაციის ტექსტში რაიმე ახალი არაფერი არ დამატებულა, მაგრამ საბჭოთა მხარეს სურდა, რომ ამ მოვლენისათვის მეტი წონა მიენიჭებინა. ბერლინში საფრანგეთს გენერალი ჟან დე-ლატრ დე-ტასინი წარმოადგენდა.

რუსებმა დე-ლატრი სამხედრო პატივით მიიღეს, თუმცა საოქმო სირთულეებს წააწყდა. კაპიტულაციის აქტის ხელმოწერის დროს საბჭოთა სარდლობის წარმომადგენელი იყო მარშალი გიორგი ჟუკოვი, დასავლეთის მოკავშირე სარდლობის – დიდი ბრიტანეთის ავიაციის მარშალი ტედერი. რუსებმა განაცხადეს, რომ პრინციპში, ისინი გენერალ დე-ლატრის მონაწილეობას ეთანხმებოდნენ, მაგრამ რამდენადაც ამერიკელებმა ხელმოწერისათვის თავიანთი წარმომადგენელიც გამოგზავნეს – გენერალი სპაატსი, ანდრეი ვიშინსკიმ, რომელიც გიორგი ჟუკოვის **„მრჩევლის“** როლს ასრულებდა, შენიშნა, რომ თუ დასავლელი მოკავშირეების წარმომადგენელი იყო ტედერი, მაშინ სხვა წარმომადგენლებს აქტზე ხელი არ მოეწერათ. ანუ გამოდიოდა, რომ არც სპაატსისა და არც დე-ლატრის ხელმოწერები კაპიტულაციის აქტზე არ უნდა ყოფილიყო. ფრანგმა გენერალმა თავისი უფლება ხელმოწერაზე მტკიცედ დაიცვა და ინციდენტი სწრაფად მოგვარდა. 1945 წლის 8 მაისს მან თავისი ადგილი დაიკავა სხვა დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლების გვერდით – ისევე როგორც საფრანგეთის სამფეროვანმა დროშამ სხვა მოკავშირე ქვეყნების დროშებს შორის.

კაპიტულაციის საბოლოო აქტზე საფრანგეთის წარმომადგენელმა თავისი ხელმოწერა დასვა რუსეთის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებთან ერთად. გენერალ-ფელდმარშალმა კაიტელმა ფრანგი გენერლის დანახვაზე თავი ვერ შეიკავა და წამოიძახა: **„ოჰო, ფრანგებიც აქ არიან?!“** და ამით დაადასტურა, რომ საფრანგეთსა და მის არმიას ტყუილად არ დაუხარჯავს ძალა და შეუწირავს ამდენი მსხვერპლი მტერზე გამარჯვებისათვის.

**„ომი მოგებულია! გამარჯვება მიღწეულია! ეს არის გაერთიანებული ერების გამარჯვება და ეს არის საფრანგეთის გამარჯვებაც!!“**, – გამოვაცხადე რადიოთი 8 მაისს დღის სამ საათზე. იმავდროულად, ჩემთან ერთად, უინსტონ ჩერჩილმა ლონდონში და ჰარი ტრუმენმა ვაშინგტონში საკუთარ ხალხებს გამარჯვება აცნობეს. ცოტა მოგვიანებით მე ეტუალის (**„ვარსკვლავის“**) მოედანზე მივედი, სადაც მოზეიმე ადამიანები იკრიბებოდნენ. ჩემი მისვლის შემდეგ მოედანი ელვისებურად ხალხით გაივსო. ძლივს მოვასწარი უცნობი ჯარისკაცის წინ მისვლა და თაყვანისცემა, რომ ხალხი ჩემკენ გამოქანდა შეძახილებით(...). ამ საზეიმო შეკრებასა და მსვლელობაში, საეკლესიო ზარების რეკვაში, საარტილერიო სალუტში და ოფიციალურ გამოსვლებში ფრანგი ხალხის გრძნობები გამოვლინდა.

დიახ, უკვე საკმაო ხანია არავის ეჭვი აღარ ჰქონდა, თუ რით დასრულდებოდა ომი. ბოლო კვირებში ყველა დღეებს და საათებს ითვლიდა. გამარჯვების გამოცხადება არ იყო ისეთი მოულოდნელობა, რომელსაც გრძნობების ქარიშხალი შეეძლო გამოეწვია, მით უმეტეს, რომ ფრანგებმა უკვე აღნიშნეს უდიდესი ზეიმით საფრანგეთის გათავისუფლება ოკუპანტებისაგან. დიახ, ჩვენ ფრანგებს, ყოველთვის გვახსოვს ჩვენი კატასტროფული შეცდომები ომის დაწყების დროს, რაც სულში ყრუ ტკივილს იწვევს..

მისია, რომელიც სამშობლოს მდგომარეობამ დამაკისრა, უკვე შესრულებულია. ბედმა ისე განსაჯა, რომ სწორედ მე მომიწია საფრანგეთის მიყვანა იმ ბოლო ბრძოლამდე, რომელშიც ყველაფერს რისკავდა. და აი, საფრანგეთი ცოცხალია, ღირსეულია, პატივცემული სახელმწიფოა თავის ისტორიულ მიწაწყალზე, მოპოვებული აქვს თავისი დამსახურებული ადგილი მსოფლიოში და მოწოდებულია სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთად კაცობრიობის ბედი გადაწყვიტოს. დღევანდელი დღე საფრანგეთისთვის მზის ოქროსფერი დაფიონით იწურება... მაგრამ როგორ შუქს მოჰფენს ხვალინდელი დღე? როგორ

**დასასრული, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №26-32, 35**

**ფრიდებურგი, ჰანს გეორგ ფონ** (1884-1945) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ადმირალი. 1945 წლის 1 მაისიდან – მესამე რეიხის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი. დაპატიმრების წინ თავი მოიკლა ციანიდით.

**მონტგომერი, ბერნარდ ლოუ** (1887-1978) – ბრიტანეთის არმიის ფელდმარშალი. მონაწილეობდა პირველ და მეორე მსოფლიო ომებში. საბჭოთა ორდენის „გამარჯვების“ კავალერი. მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წლის აგვისტოდან, მეთაურობდა დიდი ბრიტანეთის მერვე არმიას. დიუნკერკის ბრძოლის და ევაკუაციის დროს მეთაურობდა II კორპუსს, სადაც 300 000-ზე მეტი ბრიტანელი სამხედროს ევაკუაცია მოხდა. ეგვიპტეში, ელ-ალამეინის მეორე ბრძოლაში, 1942 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ბერნარდ მონტგომერის არმიამ დაამარცხა გერმანელი გენერლის ერვინ რომელის არმია. 1944 წლის იანვარში ბერნარდ მონტგომერი დაინიშნა აშშ-ის, ბრიტანეთისა და კანადის არმიების გაერთიანებული 21-ე შენაერთის სარდლად და 1945 წლის 6 ივნისს ნორმანდიაში შეიჭრა (გაიხსნა „მეორე ფრონტი“). 1951 წლიდან ბ.მონტგომერი ევროპაში ნატოს გაერთიანებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის პირველი მოადგილეა. 1958 წელს სამხედრო სამსახურიდან გადადგა.

**დენიცი, კარლ** (1891-1980) – გერმანელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გროსადმირალი. გერმანიის რაიხსპრეზიდენტი და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი 1945 წლის 30 აპრილიდან 25 მაისამდე, ადოლფ ჰიტლერის სიკვდილის შემდეგ. ნიურნბერგის ტრიბუნალმა კარლ დენიცს 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა. გათავისუფლების შემდეგ, 1956 წლიდან, პენსიონერი გახდა, დაწერა სამხედრო მემუარები.

**იოდლი, ალფრედ** (1890-1946) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, ვერმახტის გენერალ-პოლკოვნიკი, ვერმახტის უმაღლესი სარდლობის ოპერატიული შტაბის უფროსი. ნიურნბერგის ტრიბუნალმა მას სიკვდილი მიუსაჯა ჩამოხრჩობით, რაც აღსრულდა 1946 წლის 15 ოქტომბერს.

**ეიზენჰაუერი, დუაიტ დევიდ** (1890-1989) – ამერიკელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, აშშ-ის არმიის ხუთვარსკვლავიანი გენერალი, აშშ-ის 34-ე პრეზიდენტი 1953-1961 წლებში რესპუბლიკური პარტიიდან. 1944 წელს დუაიტ ეიზენჰაუერი დაინიშნა მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლად ევროპაში და ხელმძღვანელობდა ჯარების გადასხმას ნორმანდიაში (ანუ „მეორე ფრონტის“ გახსნას). დუაიტ ეიზენჰაუერი ერთადერთი ამერიკელი გენერალია (და ერთადერთი ამერიკელი პრეზიდენტი), რომელიც იოსებ სტალინთან და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელებთან ერთად წითელ მოედანზე, მავზოლეუმის ტრიბუნაზე, ფიზულტურელების აღლუმს დაესწრო 1945 წლის 12 აგვისტოს.

**დე-ლატრ დე-ტასინი, ჟან** (1889-1952) – ფრანგი მარშალი, პირველი და მეორე მსოფლიო ომების მონაწილე. 1943 წლიდან მსახურობდა ალჟირში. 1943 წელს მიიღო გენერლის წოდება. მონაწილეობდა საფრანგეთის გათავისუფლებაში, მისი არმია ბრძოლებით მივიდა რეინამდე. ომის შემდეგ იყო საფრანგეთის არმიის გენშტაბის უფროსი, ევროპაში ნატოს გაერთიანებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ინდოჩინეთში საფრანგეთის ჯარების სარდალი. მარშლის წოდება მიენიჭა სიკვდილის შემდეგ.

**კეიტელი, ვილჰელმ (1882-1946)** – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, მესამე რეიხის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის უფროსი 1938-1945 წლებში, გენერალ-ფელდმარშალი. მონაწილეობდა გერმანიის ვერმახტის ფრანგულ კამპანიაში. ნიურნბერგის ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, მიესაჯა სიკვდილი ჩამოხრჩობით. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 1946 წლის 16 ოქტომბერს.

შევინარჩუნებთ ქარიშხლით გაღვივებულ ეროვნული დიდების ჩაუქრობელ ცეცხლს, როცა ქარიშხალი ჩადგება?

## ძვირფასო მკითხველო!

**ამით ვამთავრებთ გენერალ შარლ დე გოლის „სამხედრო მემუარების“ იმ ნაწილის გამოქვეყნებას, რომელშიც ასახულია როგორც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იოსებ სტალინთან ურთიერთობები – შეხვედრები, მოლაპარაკებები, პირადი შთაბეჭდილებები და შეფასებები, ასევე მსოფლიო ომის დასრულების ფინალური ეტაპი და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო მოვლენები.**

რეზიუმეს სახით გულწრფელად უნდა მოგახსენოთ:

იოსებ სტალინსა და შარლ დე გოლის ურთიერთობა ეფუძნებოდა პრაგმატიზმს, ურთიერთპატივისცემას და სწრაფვას საკუთარი ქვეყნების პოზიციების განსამტკიცებლად, იდეოლოგიური განსხვავების მიუხედავად. იოსებ სტალინი შარლ დე გოლში ხედავდა დამოუკიდებელი საფრანგეთის ლიდერს, როგორც ერთ-ერთ მოკავშირეს არამარტო ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ომის შემდგომ თანამშრომლობაშიც (რასაც ხელშეკრულების შინაარსი მოწმობს), ხოლო შარლ დე გოლის ინტერესებში შედიოდა მოსკოვის მიერ საფრანგეთის აღიარება დიდ სახელმწიფოდ, ერთგვარ საპირწონედ ანგლო-საქსონური გავლენის საწინააღმდეგოდ.

იოსებ სტალინმა, ფაქტიურად, პირველმა **„დიდი სამეულიდან“** აღიარა შარლ დე გოლი და მისი მოძრაობა „მებრძოლი საფრანგეთი“ ფრანგი ხალხის კანონიერ წარმომადგენლად – იმ დროს, როცა უინსტონ ჩერჩილი მას სკეპტიკურად უყურებდა.

იოსებ სტალინმა პირველმა გააფორმა გენერალ შარლ დე გოლთან როგორც **„ახალი საფრანგეთის“** ხელმძღვანელთან მოკავშირეობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რითაც საფრანგეთის სტატუსი განმტკიცდა.

იოსებ სტალინმა მხარი დაუჭირა საფრანგეთის მონაწილეობას გერმანიის ომისშემდგომ დანაწილებაში: საფრანგეთმა მიიღო საოკუპაციო ზონა, მიიერთა ტერიტორიები და მიიღო რეპარაციები ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურების სახით.


იოსებ სტალინი და შარლ დე გოლი

იოსებ სტალინის მხარდაჭერით საფრანგეთმა მიიღო მუდმივი ადგილი გაეროს უშიშროების საბჭოში, რაც სრულიად შეესაბამებოდა დე გოლის ინტერესებს, რომელიც ცდილობდა საფრანგეთისთვის **„ძველი დიდების დაბრუნებას“** და სამომავლო განდიდებას.

თავის მხრივ, შარლ დე გოლი იოსებ სტალინს თვლიდა „კრემლის მბრძანებლად“, რკინის ნებისმყოფის მქონე გაბედულ პიროვნებად, იმავდროულად მშვიდ, საკუთარ თავში დარწმუნებულ ადამიანად. დე გოლი აფასებდა იოსებ სტალინს როგორც საბჭოთა კავშირის (რუსეთის) ინტერესების მტკიცე დამცველს, სახელმწიფოებრივად მოაზროვნედ და არამარტო კომუნისტური იდეოლოგიის თვალსაზრისით.

შარლ დე გოლს მიაჩნდა, რომ საფრანგეთისათვის დიდი სახელმწიფოს სტატუსის დასაბრუნებლად იოსებ სტალინი მისი ერთადერთი პარტნიორი იქნებოდა, რასაც სხვა მოკავშირეები ვერ უზრუნველყოფდნენ.

შარლ დე გოლი აღტაცებული იყო იოსებ სტალინის პიროვნების მასშტაბურობით და აღნიშნავდა, რომ სტალინის რუსეთი კარდინალურად განსხვავდებოდა ძველი, მონარქისტული რუსეთისაგან.

**შარლ დე გოლი, მიუხედავად იმისა, რომ მტკიცე ანტიკომუნისტი იყო, იგი კომუნისტ იოსებ სტალინში აღიარებდა გამოჩენილ ისტორიულ ფიგურას.**

ამასთან, შარლ დე გოლი მემუარებში სტალინის მიმართ ერთგვარ კრიტიკულ მიდგომებსაც ამჟღავნებს, ტირანსაც კი უწოდებს, ანუ დასავლური დემოკრატი ლიდერების ანტიპოდ კომუნისტ ლიდერს, თუმცა ასეთი პოზიცია ისევ დე გოლის ანტიკომუნისტურ რწმენას უნდა მივაწეროთ. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ **„სამხედრო მემუარები“ „ცივი ომის“** წლებში იწერებოდა. ესეც მხედველობაშია მისაღები.

ომის შემდგომ წლებში საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის შექმნილი გარკვეული ცივი ურთიერთობების მიუხედავად, შარლ დე გოლს იოსებ სტალინის მიმართ პრინციპული პოზიცია არ შეუცვლია. საბჭოთა ლიდერის გარდაცვალების დროს წარმოთქმული მისი სიტყვები – **„სტალინი მარტო წარსულს არ ეკუთვნის, ის მომავლის ისტორიის შემქმნელიც არის“** – გენერლის მტკიცე რწმენას ემყარებოდა. შარლ დე გოლს არ დასცალდა მემუარების მეოთხე ტომის დასრულება **(„იმედის მემუარები“)**, რომელშიც 1950-1960-იანი წლების მოვლენები უნდა ასახულიყო... და თუ მოასწრებდა მის დაწერას, ალბათ, მასში იოსებ სტალინის როლს და მისი პიროვნების მსოფლიო მნიშვნელობას, სავარაუდოდ, კიდევ ერთხელ აუცილებლად ასახავდა.

აქვე მოკლედ შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხს – საქართველოს საგანძურის დაბრუნებას, რომელიც 1921 წელს ემიგრაციაში წასულმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თან წაიღო და რომელიც 1945 წელს საქართველოს დაუბრუნდა.

რა თქმა უნდა, ქართველი მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი საგანძურის ბედი, რომელიც საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის, პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილისა და სხვა ქართველი მოღვაწეების ძალისხმევით შენარჩუნდა და საქართველოს უნდა დაბრუნებოდა. არსებობს ფართო ლიტერატურა, მოგონებები და სხვა სახის მასალები, რომელთა თანახმად, მეორე მსოფლიო ომის დასასრულს ემიგრაციაში მყოფმა საგანძურის მეთვალყურემ ექვთიმე თაყაიშვილმა წერილით მიმართა საბჭოთა კავშირის ელჩს საფრანგეთში ალექსანდრე ბოგომოლოვს ეროვნული საგანძურის საქართველოში დაბრუნების შესახებ. ექვთიმე თაყაიშვილის წერილობითი მოხსენება ალექსანდრე ბოგომოლოვმა გააცნო საფრანგეთის დროებითი მთავრობის მეთაურს, გენერალ შარლ დე გოლს, რომელიც იმჟამად საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დასადებად ემზადებოდა და ეროვნული საგანძურის საქართველოსთვის დაბრუნება მისი მხრიდან დიპლომატიური ჟესტი იქნებოდა იოსებ სტალინის წინაშე. 1944 წლის 23 ნოემბერს დე გოლმა გასცა განკარგულება განძის დაბრუნების შესახებ.


ჟან დე-ლატრ დე-ტასინი


ვილჰელმ კეიტელი

გარდა ამისა, ქართული წყაროებიდან ასევე ცნობილია, რომ შარლ დე გოლს მოსკოვში თითქოსდა წაყვანილი ჰყავდა პირადი თარჯიმანი კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, რაც თვითონ დე გოლის მემუარებში ასახული არ არის. უფრო ზუსტად კი თუ ვიტყვით, დე გოლი ასახელებს თავისი თარჯიმნის ვინაობას (ჟან ლალუა), მაგრამ არაფერია ნათქვამი მის ქართულ წარმოშობაზე (როგორც „ვიკიპედიის“ ფრანგული ვერსიიდან ირკვევა, ჟ.ლალუა 1912 წელს მედონის კომუნაშია დაბადებული, პარიზთან ახლოს და მის ბიოგრაფიაში არანაირი ქართული ფესვები არ შეიმჩნევა). ქართულ მასმედიაში გავრცელებულია კონსტანტინე ანდრონიკაშვილის **„მოგონებები“**, რომელთა თანახმად, იოსებ სტალინს შარლ დე გოლი თურმე სოფელ ფილიში წაუყვანია, სადაც 1812 წლის სექტემბერში რუსეთის არმიის მთავარსარდალმა მიხეილ კუტუზოვმა, საფრანგეთის (ნაპოლეონის) არმიასთან ბოროდინოს ბრძოლის წინ სამხედრო საბჭოს სხდომა გამართა და იქ თურმე სტალინს გენერალ ბაგრატიონის ქართულ წარმოშობაზე უსაუბრია. არაფერი ამის მსგავსი დე გოლის მემუარებში ნახსენები არ არის. გენერალი ფრიად დეტალურად აღწერს მოსკოვურ შეხვედრებს იოსებ სტალინთან და თუ მასთან ერთად ფილიში გაემგზავრებოდა, გაკვრით მაინც გაიხსენებდა მემუარებში ამ ფაქტს.


კონსტანტინე ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) 1916-1997




რაც შეეხება უშუალოდ კონსტანტინე ანდრონიკაშვილის (ანდრონიკოვის) ბიოგრაფიას: იგი 1916 წელს პეტროგრადშია დაბადებული, ცნობილი ქართველი თავადის ოჯახში. მამა იასე ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) მეფის არმიის ოფიცერი იყო. რევოლუციის შემდეგ კონსტანტინემ დედასთან ერთად საზღვარგარეთ გამგზავრება მოასწრო, მამა კი ბოლშევიკებმა დახვრიტეს. 1940 წელს კონსტანტინემ პარიზის უნივერსიტეტი დაამთავრა, 1944 წელს კი პარიზის წმინდა სერგის რუსული მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ინსტიტუტი. 1942-44 წლებში პარიზის რუსულ გიმნაზიაში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. 1945 წლიდან მუშაობა დაიწყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში თარჯიმნად. იყო საფრანგეთის სამი პრეზიდენტის თარჯიმანი: შარლ დე გოლის (1958 წელს), ჟორჟ პომპიდუს (1969 წელს) და ვალერი ჟისკარ დ'ესტენის (1974 წელს). კონსტანტინე ანდრონიკაშვილის დეტალურ ბიოგრაფიაში, რომელიც „ვიკიპედიის“ ფრანგულ ვერსიაშია გამოქვეყნებული, არ არის დაფიქსირებული, რომ იგი 1944 წელს მოსკოვში შარლ დე გოლის დელეგაციის წევრი იყო. ანდა როგორ იქნებოდა, როცა მას ჯერ კიდევ ლტოლვილის სტატუსი ჰქონდა და პირველი ოფიციალური ღონისძიება – პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, რომელშიც იგი პირველად მონაწილეობდა კონტრაქტიანი თარჯიმნის სტატუსით, 1946 წლის აპრილ-ივლისში გაიმართა. საფრანგეთის მოქალაქეობა კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა მხოლოდ 1947 წელს მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრის ჟორჟ ბიდოს დახმარებით.

ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ კონსტანტინე ანდრონიკაშვილისა და გენერალ დე გოლის კავშირები დამატებით კვლევას საჭიროებს, რათა სრული სინამდვილე დადგინდეს...



მოამზადა
**სიმონ კილაძემ.**



# „ეს მხოლოდ დასაწყისია, ბრალდებულთა სკამი გაიზრდება“!!!









## გიგა ავალიანის მკვლელობის საქმის „უხილავი“ დეტალები

**თბილისის ერთ-ერთ უბანში მოკლული მასწავლებლის, გიგა ავალიანის საქმეში ახალი ტალღა იწყება. მას შემდეგ, რაც სასამართლო დარბაზში მოწმე ლუკა კლადკინი ცრუ ჩვენებისთვის ხელბორკილებით გაიყვანეს, დღის წესრიგში დადგა მთავარი კითხვა: ვინ იქნება შემდეგი? შვილმოკლული დედა ეკა კუპატაძე ღიად ასახელებს იმ გავლენიან პირებსა და მათ შვილებს, რომლებიც, მისი მტკიცებით, ამ დრომდე მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. გაიზრდება თუ არა დაკავებულთა წრე და რატომ დუმს გამოძიება ნია იმნაძისა და მერაბ მალანიას ვაჟის მონაწილეობაზე?**

**გიგა ავალიანის საქმეზე ამ დროისთვის ოთხი პირია დაკავებული, თუმცა ოჯახისთვის ეს მხოლოდ აისბერგის მწვერვალია.**

ეკა კუპატაძე დარწმუნებულია, რომ მკვლელობისა და სისტემური ძალადობის უკან გაცილებით მეტი ადამიანი დგას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნის ვაჟზე **გიორგი მალანიაზე.**

**„გიორგი მალანიას მფარველობენ, მაგრამ მე ვერანაირი მფარველობა ვერ შემაჩერებს. აუცილებლად დაჯდება გიორგი მალანია საბრალდებო სკამზე. მე თვითონ გადავდე შეკითხვები იმნაძის, მალანიას, გერუაშვილის და სხვათა მიმართ... ეტაპობრივად ყველას მივხედავ“,** — აცხადებს **ეკა კუპატაძე.**

დედის ეს მტკიცე პოზიცია მიანიშნებს იმაზე, რომ საქმეში, შესაძლოა, ახალი ბრალდებულები გამოჩნდნენ.

* * *

**საზოგადოებაში ყველაზე დიდ კითხვებს ნია იმნაძის სტატუსი აჩენს. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ მისი სახელი ფიგურირებს იმ კონფლიქტის საწყისებთან, რამაც საბოლოოდ, 28 წლის მასწავლებლის სიკვდილი გამოიწვია.**

მიუხედავად იმისა, რომ იმნაძე საქმის ერთ-ერთი საკვანძო რგოლია, პროკურატურას მის მიმართ ამ დრომდე ოფიციალური ბრალი არ წარუდგენია. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მტკიცებულებების მოგროვება სწორედ ამ „უხილავ“ ფიგურანტებზე მიმდინარეობს და დაკავებულთა რაოდენობის ზრდა მხოლოდ დროის საკითხია.

საქმის გაფართოების აუცილებლობა კიდევ ერთხელ დაადასტურა ლუკა კლადკინის შემთხვევამ. მოზარდმა, რომელიც გამოძიებასთან აქტიურად თანამშრომლობდა, სასამართლოზე მოულოდნელად ყველაფერი უარყო — ძალადობის ამსახველ ვიდეოებში საკუთარი თავიც კი ვერ „იცნო“. პროკურორ ქეთი სონიძის თქმით, ეს მანიპულაცია მოწმისთვის სავალალოდ დასრულდა.

**„მიუხედავად იმისა, რომ მან უარყო ყველაფერი, მაინც გადამოწმდა მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია... ამ ერთი მოწმის შეცვლილი ჩვენება საქმეს არ დააზიანებს, თუმცა ნამდვილად გამოიწვევს მოწმის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას“,** — განმარტა **სონიძემ.**

ეკა კუპატაძე კი პირდაპირ მიუთითებს, რომ მოწმეებზე ზეწოლა ხდება, რათა რეალური დამნაშავეები მართლმსაჯულებას გადაურჩნენ:

**„ყველაზე უმსგავსო საქციელს მიმართეს და მოწმეს შეაცვლევინეს ჩვენება. კლადკინს რომ არ მიეყვანა გამომძიებელი იმ ადგილას, იმ ადგილს ვერ იპოვნიდნენ“,** — განაცხადა მან.

* * *

**გამოძიების ვერსიით, გიგა ავალიანი მსხვერპლად შემთხვევით არ შერჩეულა. ეს იყო არასრულწლოვანთა ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც სოციალურ ქსელში, „ფეიკ“ პროფილებით იტყუებდა ადამიანებს და მათზე ფიზიკურად ძალადობდა. ავალიანის შემთხვევა მეხუთე და ყველაზე მძიმე ეპიზოდია.**

სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა კი გადამწყვეტი აღმოჩნდა: მასწავლებლის სიკვდილი გამოიწვია „ქალა-ტვინის დახურულმა ბლაგვმა ტრავმამ, შუბლის ძვლის სრული მოტეხილობით“. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ასფალტზე დაცემა ასეთ დაზიანებას ვერ გამოიწვევდა — ეს იყო მიზანმიმართული დარტყმა ბლაგვი საგნით (ან მუშტით).

ამ ტრაგიკულ და შემზარავ საქმეს ადვოკატებიც გაურბიან. ცნობილია, რომ საქმიდან უკვე სამი ადვოკატი გავიდა: ირმა ჭკადუა, თეონა გვაზავა და ბოლოს კახა წერეთელი. წერეთლის განცხადებით, ამ საქმეში ისეთი მეთოდები მუშაობს, რაც მისთვის მიუღებელია. ეკა კუპატაძე კი ამას „ღირსეულ სვლას“ უწოდებს, რაც ირიბად მიანიშნებს იმაზე, რომ საქმის სიმძიმე და ბრალდებულების რეალური სახე პროფესიონალი ადვოკატებისთვისაც კი აუტანელი გახდა.

**დღეს გიგა ავალიანის მკვლელობის საქმე გარდამტეხ ეტაპზეა. საზოგადოება ელოდება, როდის გასცდება ბრალდებულთა სია მხოლოდ არასრულწლოვნებს და როდის დადგება იმ გავლენიანი პირების პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა სახელებსაც შვილმოკლული დედა ყოველდღიურად ახსენებს.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

## „მშენჯგუფის“ გაუმაძღარი ღორები და მუნიციპალური განვითარების ფონდის მომხვეჭელები

(მესამე გვერდიდან)

**კერძოდ, შპს „მშენჯგუფმა“ დაუსაბუთებლად, წერილობით 15-ჯერ მოითხოვა თანხა ავანსის სახით სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების წარმოების მიზნით. მოხელეებისთვის ცნობილი იყო, რომ შპს „მშენჯგუფი“ ჯეროვნად არ ასრულებდა არცერთი ტენდერით გათვალისწინებულ ვალდებულებას და ნაცვლად იმისა, რომ ემოქმედათ კანონმდებლობით დადგენილი წესით და მიეღოთ შესაბამისი ზომები, გულგრილად მოეკიდნენ თავიანთ მოვალეობებს და ყოველ ჯერზე გასცეს ნებართვა კომპანიისთვის ავანსის თანხის სრულად ჩარიცხვაზე, რამაც საბოლოოდ მძიმე შედეგი გამოიწვია. კერძოდ, 16 საბავშვო ბაღიდან 4 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები არც კი დაწყებულა, ხოლო დანარჩენი სამუშაოები განხორციელდა არასრულყოფილად, რის გამოც 16-დან არცერთი საბავშვო ბაღი დღემდე ჩაბარებული არ არის.**

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ზემოხსენებული სამუშაოების საინჟინრო ზედამხედველობა დავალებული ჰქონდა კერძო საექსპერტო კომპანიას, რომელიც ვალდებული იყო შესრულებული სამუშაოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემოწმება განეხორციელებინა. მიუხედავად იმისა, რომ ზედამხედველი კომპანიის თანამშრომლებისთვის ცნობილი იყო, რომ რიგ შემთხვევებში შესრულებული სამუშაოს აქტებში ასახული მონაცემები არ შეესაბამებოდა რეალობას, მათ შპს „მშენჯგუფის“ მმართველის თხოვნით მაინც დაადასტურეს აღნიშნული მონაცემები, რის შედეგადაც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები არამართლზომიერად დაეუფლნენ სახელმწიფოს კუთვნილ სახსრებს.

სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელ პირებს და ორგანიზებული ჯგუფის წევრებს, ბრალდება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების მითვისების, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად **12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ ყოფილ ხელმძღვანელ პირებს ბრალდება სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად **5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

ბრალდება წარედგინათ კერძო კომპანიის ზედამხედველ ექსპერტებს ყალბი დოკუმენტის დამზადების ფაქტზე, რაც სასჯელის სახედ და ზომად **6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**



უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით შეძენილი ქონებები დაყადაღებულია და დანაშაულთან კავშირში მყოფი სხვა პირების თუ საჯარო მოხელეების გამოსავლენად საქმეზე გამოძიება გრძელდება.

**საქართველოს პროკურატურა განაგრძობს კორუფციასთან შეურიგებელ ბრძოლას და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებას.**

**საქართველოს პროკურატურა**

# ქსნის ხეობის წარსულიდან



**დავით ახლოური,**

საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გორის უნივერსიტეტის პროფესორი

# ვიცოდეთ წარსული, თვალი გავუსწოროთ მომავალს




## ახალგორის ინკვიზიცია

**„საქართველო“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი გახლდათ. 1915-1916 წლებში გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი პოეტი სანდრო შანშიაშვილი იყო, 1917 წლიდან შანშიაშვილის საქმე ცნობილმა ქართველმა პოლიტიკოსმა, პუბლიცისტმა, ჟურნალისტმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ვეშაპელმა გააგრძელა...**

რთული მისაღები და აღსაქმელია მოხუცის ფსევდონიმით „საქართველოს“ **1920 წლის 19 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატია „ახალგორის ინკვიზიცია“, რუბრიკით „მწარე ფიქრები“.** წერილში გადმოცემულია ახალგაზრდა, გასათხოვარი ქალის ნაამბობი, რომელიც მკერავი ყოფილა და თავს თავისი შრომით ირჩენდა, მისი ძმა კი რკინიგზაზე მსახურობდა და მამული ჰქონია დუშეთის მაზრაში, ახალგორთან ახლოს. რადგან ძმას არ ეცალა, დისთვის დაუვალებია ახალგორში წასვლა და ღალის (მიწით სარგებლობის გადასახადი) აკრეფა. ნაცნობთან დაბინავებული ქალისთვის გლეხებს ღალის მიცემაზე უარი უთქვამთ, რის გამოც ადგილობრივი კომისრისთვის საჩივრით მიუმართავს. „ახლა სხვაგან მივდივარ, საღამოზე დავბრუნდები, კარგი ვახშამი მოამზადე და საქმეს გაგიკეთებო“ - უთქვამს კომისარს. ქალს კომისრის ნათქვამი ხუმრობად მიუღია, მაგრამ საღამოს სტუმართან მისულა მისი მოგვარე ქალბატონი და სახლში მიუპატიჟებია: „კომისარი ჩემთან არის, ჩემთან წამოდი, ვახშამი ვაჭამოთ და საქმე გავაკეთოთო“. ქალბატონები კომისარს და მის თანმხლებ მილიციელებს სათანადოდ გამასპინძლებიან. ვახშმის შემდეგ სტუმარი დიასახლისს აღარ გაუშვია: „ღამეა, სად უნდა წახვიდე, კომისარს და მილიციონერს ძარში დავაძინებ, მე და შენ კი აქ ოთახში მოვისვენოთო“. ქალი ფრთხილობდა თურმე, ტანგაუხდელი დაწოლილა. ჩაძინებულს თავზე კომისარი დასდგომია, თავზარდაცემულ ქალს უცდია ხელიდან დასხლტომოდა... მისი მოგვარე ქალი კი დახმარების ნაცვლად ლოგინიდან წამომხტარა და გარეთ გავარდნილა: „მივხვდი, რომ ფულზე გამყიდა და გამწარებულმა საშინელი ყვირილი ავტეხე. დიდი ხნის ჭიდაობის შემდეგ კომისარს ალბათ შეეშინდა, ხალხმა არ გაიგოსო და გინებითა და მუქარით თავი გამანებაო“.

სამართლის საძიებლად ერობის თავმჯდომარესთან მისულა, მასაც დაეჭვებით უკითხავს: რა ვიცით, ვინა ხარ, იქნებ ძმისაგან არ ხარ გამოგზავნილი... გამოგზავნოს შენმა ძმამ თბილისიდან დეპეშა და ღალას აგიკრეფავთო. არც ძმის გამოგზავნილ უწყებას „ენდო“ ერობის თავმჯდომარე – „იქნებ ამ დეპეშას სხვა იწერებაო“.

დაღონებულ ქალს თბილისში დაბრუნება გადაუწყვეტია და ამ დროს ქუჩაში ორი ნაცნობის საუბრისთვის მოუკრავს ყური: „ერთი მეორეს ეუბნებოდა: ჩემი დაჭერილი ძმა როგორც იყო გავანთავისუფლეო.

რანაირადაო? – ჰკითხა მეორემ. ერობის თავმჯდომარეს ორასი თუმანი მივეცი და გაანთავისუფლაო, მერე მე მომიბრუნდნენ და მკითხეს: შენი საქმისა რა ჰქენიო. მე ვუპასუხე: რა ვქნა, მე ორასი თუმანი არა მქონდა; ვერ მივეცი და ამიტომ ჩემი საჩივარი არ მიიღო-მეთქი“. მისი ნათქვამი თავმჯდომარეს გაუგია და დაუტუსაღებიათ. ქალის ნაამბობით, ახალგორის მაშინდელი სატუსაღო ორი ოთახისგან შედგებოდა: „ერთ ოთახში ვიღაცა დატუსაღებული კაცი იჯდა, მეორე ოთახში მილიციონერები იდგნენ. მილიციონერებმა მითხრეს: მეტი ჯანი არ არის, ამ ღამეს აქ ჩვენ ოთახში უნდა იყოვო. მერე თქვენ სადღა წახვალთ-მეთქი... მილიციონერები წავიდნენ, დავრჩი მარტოდ ბნელაში, კარები ჩავკეტე, ტახტზე ჩამოვჯექ და ტირილი დავიწყე“.

შუაღამისას მთვრალი მილიციელი დასდგომია თავს: „მილიციონერი ვარ, კარები გააღეო... გულის კანკალით კარები გა(ვ)უღე და უკან გამობრუნება ვეღარ მოვასწარი, რომ მეცა და იატაკზე წამაქცია. საშინელი ყვირილი მოვრთე: მიშველეთ, ვინა ხართ-მეთქი ქრისტიანი! ყვირილზე შემოცვივნდა ოთახში ორი მილიციონერი, მთვრალი გახეთქილი ამხანაგი გულიდან ამგლიჯეს და კარში გაათრიეს. პატარა ხანს უკან, არ გასულა ერთი საათი, ოთახში შემოვიდა ერთი მილიციონერთაგანი და მითხრა: ჩემო დაო, შენი ამ ოთახში ყოფნა შეუძლებელია, ჩვენი ამხანაგი მთვრალია, კიდევ შემოგეჭრება, როგორც ძმა, ისე გეუბნები, წამომყევი და ისეთ ადგილას მიგიყვან, სადაც ვერავინ ვერ მოგაგნებსო. ამ სიტყვებით გამიძღვა წინ და კარში გამოვედით, პატარა ხანს უკან ამ მილიციონერმა მიმიყვანა ორსართულიან შენობასთან, ძირის სართული ცარიელი ოთახი იყო სავსე ნაგავითა და ნეხვითა. შეშინებულმა ვუთხარი, აბა, ამ ოთახში როგორ გავათიო-მეთქი ღამე და გამობრუნება დავაპირე, მაგრამ დამტაცა ხელი, შემათრია ოთახში და დამიწყო ბღლაძუნი. აქ კი ვეღარც ჩემმა მუდარამ გასჭრა და ვეღარც ყვირილმა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა მცემდა თავში და პირში, ცხვირიდან, ყურებიდან და პირიდან სისხლი თქრიალით გადმომდიოდა... ჩვენმა ბრძოლამ დიდხანს გასტანა, ბოლოს გული შემიწუხდა და ასე გულშეწუხებული გათენებამდის ვეგდე. გათენებისას ძალზე ნაცემმა და სისხლ დაცლილმა, როგორც იყო, ფორთხვით, გარედ გამოვცოცდი, იქვე ქალაქის საავადმყოფოს შენობა დავინახე, მივცოცდი, მაგრამ კიბეზე ვეღარ ავედი და ისევ გული შემიწუხდა. გონს მოვედი მხოლოდ საავადმყოფოში. ადგილობრივ ფერშალს დავენახე, ავეწიე და შიგნით შევეყვანე“.

ვერც ამ ტრაგიკულმა ამბავმა შეაშფოთა ერობის თავმჯდომარე: „ეგ გაფუჭებული ქალია, ქალაქში საროსკიბოში იყო, რა ყურადღებას აქცევთო“. საპასუხოდ ექიმს განუცხადებია: „ქალწული ყოფილა და მილიციონერს წუხელი(ს) გაუ(უ)პატიურებიაო“. ექიმის განცხადებას მტარვალები ჩაუფიქრებია, მაგრამ ქალის ტანჯვა-წამება არც ამით დამთავრებულა.

„ამ საქმეს უმაღლეს მთავრობას ვაცნობებთო“ – აღშფოთებულა ექიმი, მაგრამ ისიც შეუშინებიათ და ჩაუჩუმებიათ.

სვეგამწარებულ ქალს შიშით ოთახსაც აღარავინ აქირავებდა. ბოლოს ერთ მოხუცებულ ქალს შეუკედლებია. ერთი თვე ლოგინში გაუტარებია, რა დროსაც ერობის თავმჯდომარე და კომისარი ხან მოკვლით ემუქრებოდნენ თურმე, ხან ქრთამის შეძლევით, რაც იყო, იყო, ნუ გვიჩივლებო. ჯერ 3000 მანეთი შეუძლევიათ, მერე – 5000 და ბოლოს 20 000 მანეთამდე ასულან. ადგილობრივ მღვდელსაც კი უკისრია მაშვლობა: „მართალია ქალწული ყოფილხარ, მაგრამ ეგ ვინ იცოდა, რაც მოხდა, უნდა აპატიოო, ფულები მიიღე და ნუ იჩივლებო“. ქალი სიკვდილს მთელი თვის განმავლობაში ყოველღამე ელოდებოდა, სიცოცხლეც აღარ უნდოდა, ან რაღად მინდა თავი ცოცხალიო, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა, არ ნებდებოდა, ცდილობდა ქალაქში გაპარულიყო, მაგრამ ყველგან გზები ჰქონდა შეკრული. ისიც იცოდა, რომ გაპარულიყო კიდეც, გზაში მოკლავდნენ. იმ დროს მომრიგებელი მოსამართლე ასულა ახალგორში, დაუჩოქია ქალს, მოუყოლია თავისი უბედურება, თბილისში წაყვანა უთხოვია, მაგრამ ისიც შეშინებულა და უარი უთქვამს. „ვიყავი ამ შიშში და გაჭირვებაში. ბოლოს, ერთი ჩემი ნაცნობი ქალი მოდიოდა ტფილისში, დავსწერე წერილი და ამ ქალს გამოვატანე ერთ ჩემ ნაცნობ ქალთან, რომლის ქმარს დიდი თანამდებობა უჭირავს და რომელთანაც ხშირად საკერავზე ვმუშაობ. ამ ქალისა და მისი ქმრის მადლობელი უნდა ვიყო, რომ დღეს მე ცოცხალი ვარ და ჩემი მტარვალები პასუხის გებაში მიცემული“ – საბრალო ქალის ამ მონათხრობით ამთავრებს ავტორი საგაზეთო წერილს, რომელსაც თურმე ორი თვის მერეც სახეზე ემჩნეოდა მილიციელის მუშტების კვალი და თვალებიდან ჯერაც არ გაჰქრობოდა განცდილი უზომო შიში. წერილს შემდგომში განვითარებულ მოვლენების ამსახველი მინაწერი ახლავს: „ამ ქალის ასე უბრალოდ და მარტივად ნაამბობ თავგადასავალს საჭიროდა ვს(ვ)თვლი დავუმატო ზოგიერთი დამახასიათებელი წვრილმანი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სასტიკი ზომები მიიღო და ამ ჟამად საქმეს იძიებენ. დაატუსაღეს ერობის თავმჯდომარე, კომისარი და ორი მილიციონერი, მაგრამ გამომძიებელმა თავმჯდომარე და კომისარი თავდებობის ქვეშ გაანთავისუფლა. თავი და თავი დამნაშავე მილიციონერი დაჭერის შემდეგ გაიქცა და დღესაც ვერ უპოვნიათ, თუმცა, როგორც ამბობენ, გაქცევის დროს ტყვიით დაუჭრიათ.

ხოლო გამოძიება ჯერ-ჯერობით ასეთ ცნობებს გვაძლევს. მილიციონერებმა გამომძიებელს განუცხადეს, ერობის თავმჯდომარემ და კომისარმა გვითხრეს: ეგ, გაფუჭებული ქალია, წაიყვანეთ და რაც გინდა ის უყავით! ამას გარდა თავმჯდომარის მეუღლემ განაცხადა: ღამე მაგ ქალის წივილ კივილი შემომესმა, ქმარი გავაღვიძე და ეს გარემოება ვუთხარიო. ქმარმა მიპასუხა: მაგისთვის ეგ კიდევ ცოტა არისო! გამოძიებამ აგრეთვე აღმოაჩინა, რომ დუშეთის სამაზრო ერობა საქმის გამომჟღავნებამდე რამდენჯერმე შეეკითხა თურმე ახალგორის ერობას: რა ჰქენით? მაგ ქალის საქმე მოაგვარეთ, თუ არაო!!“

სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავსო – ბრძანებდა დიდი ილია, არც ახალგორელთა შემთხვევაში დაუკარგავს. ყველა დამნაშავე იქნა მხილებული, გამოაშკარავებული, ვინ როგორ დაისაჯა, ეს სხვა საკითხია...

საგულისხმოა და დამაფიქრებელი მინაწერის დასკვნითი ნაწილი: „სამი წელიწადია დამოუკიდებლად ვმართავთ ჩვენს სახელმწიფოს და მგონია, დროა ჩავხვდეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საზომი და სასწორი ჩვენ არ გამოგვადგება. დროა, ჩავხვდეთ, რომ ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეები, რაც უფრო დაშორებულია ჩვენს კულტურულ ცენტრებს, მით უფრო ველურია და გაუნათლებელი. დროა აგრეთვე ჩავხვდეთ, რომ ჩვენ ჯერ-ჯერობით მოუწყობელნი ვართ და არა გვყავს იმდენი მომზადებული პიროვნებანი, რომელთა მეოხებით შესაძლებელია სახელმწიფო კარგი აპარატის შექმნა. დროა, ლამაზ თეორიებს თავი გავანებოთ და სინამდვილეს მივუბრუნდეთო“.

**ავტორის სამართლიანი შენიშვნით, ახალგორში ჩვენთვის უცნობი ქალის მიმართ მოწყობილი „ინკვიზიცია“ არც პირველი შემთხვევა იყო და არც ბოლო იქნებოდა, ბევრი სისაძაგლე ხდება ყველგან, მაგრამ ჩვენამდე არ აღწევსო... მძიმე დროების აღსაქმელად კი ესეც კმარა, რამაც ჩვენამდე მოაღწია.**

**დასასრული, დასაწყისი იხილეთ „სრ“ 2025 წელი №108, 109-110, 111-119, 120-121, 123, 125, 126, 145, 150, 157-158, 164 2026 წელი №18, 22, 24**

**„სამი წელიწადია დამოუკიდებლად ვმართავთ ჩვენს სახელმწიფოს და მგონია, დროა ჩავხვდეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საზომი და სასწორი ჩვენ არ გამოგვადგება. დროა, ჩავხვდეთ, რომ ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეები, რაც უფრო დაშორებულია ჩვენს კულტურულ ცენტრებს, მით უფრო ველურია და გაუნათლებელი. დროა, აგრეთვე ჩავხვდეთ, რომ ჩვენ ჯერ-ჯერობით მოუწყობელნი ვართ და არა გვყავს იმდენი მომზადებული პიროვნებანი, რომელთა მეოხებით შესაძლებელია სახელმწიფო კარგი აპარატის შექმნა. დროა, ლამაზ თეორიებს თავი გავანებოთ და სინამდვილეს მივუბრუნდეთო“.**



# ვერცხლიც, ლიცენზიაც...

**ქართული ფიგურული სრიალისთვის ისტორიული სეზონი ასევე არნახული წარმატებით დაგვირგვინდა – ლუკა ბერულავასა და ანასტასია მეტელკინას წყვილმა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ვერცხლი მოიხვეჭა. ვულოცავთ!**

ეს აღსანიშნავი ფაქტი პრაღაში მოხდა, სადაც ევროპის მოქმედმა ჩემპიონებმა და ოლიმპიადის მეორე პრიზიორებმა შესანიშნავად შეასრულეს როგორც მოკლე, ისე თავისუფალი პროგრამები და ჯამური 218,41 ქულით მხოლოდ ტრადიციულად უხერხულ გერმანელ მეტოქეებს ჩამორჩნენ.

ჩვენ, ბუნებრივია, არ დავიზარებთ და კიდევ ერთხელ მოვუხდით მადლობას ლაურეატთა მწვრთნელს **ევგენი სლიუსარენკოსა** და ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს **მაკა გიორგობიანს,** რომლებმაც სპორტის სამინისტროსა და სეოკ-თან თანამშრომლობით სასწაული მოახდინეს!

ქების ღირსნი არიან დანარჩენი ჯვაროსნებიც, განსაკუთრებით – **ანასტასია გუბანოვა.** მის მიერ ჩეხეთში დაკავებულმა მე-10 ადგილმა დამატებითი ლიცენზია მოგვიტანა და გაისად მუნდიალზე ასპარეზობის საშუალება შარშანდელი ბაკურიანის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ტრიუმფატორს **ინგა გურგენიძესაც** მიეცემა.

ასეთივე ღირსეული გრაფიკით ისრიალა სპორტულ ცეკვებში **დიანა დევისისა** და **გლებ სმოლკინის** დუეტმა, რომელმაც მოკლე პროგრამაში დაკავებული მე-6 ადგილით საუკეთესო პლაცდარმი შეიქმნა საბოლოოდ უძლიერესთა ათეულის შესაკვრელად, რამაც ასევე საგაისო მეორე ლიცენზია მოგვიპოვა.

აუგს ვერ ვიტყვით **ნიკა ეგაძეზეც,** რომელმაც, მართალია, ტურნირი მე-15 ადგილით დაიწყო, მაგრამ თავისუფალი პროგრამის დიდებული შესრულებით მე-11 პოზიციამდე აღზევდა და ათეული ქულები არ ეყო პარტნიორთა შედეგის მისაღწევად.

**მოკლედ, ყოჩაღ!**

# როგორც შეგვეფერება

**საქართველოს 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრების დასკვნითი შეკრება დასრულდა, 31 მარტს კი ბიჭები საფრანგეთის ქალაქ ვიშში გაემგზავრებიან.**

იქ ისინი 3 აპრილს საფრანგეთს, 7-ში ინგლისს, ხოლო 11 აპრილს შოტლანდიას შეერკინებიან.

**„მზადება 5 კვირის წინათ დავიწყეთ. თავიდან ინტენსიურად ვერ ვვარჯიშობდით, რადგან ა ლიგის ფლეი ოფი მიმდინარეობდა, ბოლო კვირეებია კი სრული დატვირთვით ვემზადებით. რამდენიმე ტრავმა გვაქვს, თუმცა მოგვარებადია და ვფიქრობთ, ეს ბიჭები ტურნირისთვის მზად იქნებიან.**

**წლის დასაწყისია და ისეთი თამაშები გვაქვს, ბევრი გუნდი რომ ინატრებდა. საფრანგეთთან, ინგლისთან და შოტლანდიასთან თამაშის ფუფუნება არც ეროვნულ ნაკრებს აქვს, არც 20-წლამდელებს და არც 'შავ ლომს". ეს შესაძლებლობა კარგად უნდა გამოვიყენოთ"** – ამბობს უმცროს ბორჯღალოსანთა აუტის მწვრთნელი **შალვა მამუკაშვილი.**

**„მოსამზადებელმა პერიოდმა ძალიან კარგად ჩაიარა. სამწვრთნელო შტაბიც და მოთამაშეებიც დიდი შემართებით ვართ და მზად ვართ შევერკინოთ ტიერ1-ის გუნდებს. ეს სამი თამაში ჩვენთვის დიდი პასუხისმგებლობაა. ვეცდებით მაქსიმუმი გავიღოთ და ისე წარმოვაჩინოთ ჩვენი სახე, როგორც საქართველოს ნაკრებს შეეფერება"** – განაცხადა გუნდის ერთ-ერთმა მოთამაშე **მათე ბერუაშვილმა.**



# კაპიტან კვარას დუბლი და... გაშიშვლებული პრობლემები

**ამხანაგური** მატჩები იმიტომ იმართება, რომ დადებით ემოციებთან ერთად განსასჯელი თემებიც უნდა დაგვიტოვოს. არის მეორე ფაქტორიც – ზოგი მის შედეგს ყურადღებას არ აქცევს, მაგრამ ამ შემთხვევაში იბადება კითხვა – რა დააშავა ასეთთა ტრადიციამ და სტატისტიკამ, რაც სარკესავით აისახება საერთაშორისო რეიტინგში?

მოკლედ, მედალს მართლაც 2 მხარე აქვს, ხოლო უმთავრესი მიდგომაა.

**საქართველო – ისრაელი 2:2**

**პირველი ტაიმი 1:0**

**საქართველო:** მამარდაშვილი, გადრანი (კვერნაძე), ბერიაშვილი, ლოჩოშვილი, წიტაიშვილი, მამაგეიშვილი, მექვაბიშვილი (მამუჩაშვილი), კიტეიშვილი (დავითაშვილი), გაგნიძე, კვარაცხელია, მიქაუტაძე (გულიაშვილი).

**გოლები:** კვარაცხელია (2), მიზრაჰი, განდელმანი.

შეხვედრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ხსოვნისადმი მიძღვნილი წუთიერი დუმილითა და გასული სეზონის საუკეთესო ქართველი სპორტსმენის – **ხვიჩა კვარაცხელიას** დაჯილდოებით დაიწყო, ამიტომ მასპინძელთა ახალ კაპიტანზე საუბარს მის კარიერაში შესრულებული მე-3 სანაკრებო დუბლის აღნიშვნით განვაგრძობთ, სულ კი ჯვაროსანთა უპირობო ლიდერს ქვეყნის ძირითად გუნდში უკვე 22 გოლი დაუგროვდა და სულ რაღაც 4 ზუსტი დარტყმითღა ჩამორჩება დამოუკიდებლობის ეპოქის თანამემამულე ბომბარდირს – **შოთა არველაძეს.**

მთლიანობაში ეს გახლდათ აღქმული მიწის შვილებთან ჩვენებურთა მე-7 თამაში და უარყოფითი ბალანსი ძალაში დარჩა – 1 მოგება, მე-3 ფრე და 3 წაგება, არადა 60 წუთის შემდეგ ხვიჩას ინდივიდუალური შედევრებით 2:0 დავწინაურდით.



დიახ, მოვლენათა მსგავს განვითარებას სწორედ კვარაცხელიას უნდა ვუმადლოდეთ, თორემ საერთო სურათი სავალალოდ გამოიყურებოდა: ტრავმირებული **ჩაკვეტაძის** არყოფნაში ბურთის დამჭერ-ამომტანი არავინ გვყავდა, მისი უთავბოლო მოგერიება კი სტუმრებს ტემპის სასურველი რიტმით რეგულირებას უადვილებდა და ისინიც მეტოქის ბოძებული მწირი ტაქტიკური საჩუქრით თავაზიანად სარგებლობდნენ.

ჰო, თავაზიანად, თორემ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ნება რომ ჰქონოდათ, გაცილებით კატასტროფულ ვითარებაში ჩაგვაგდებდნენ.

და კიდევ: ლურსმანზე **კაშიას** ბუცების ჩამოკიდებით დიდი ვაკუუმი შეიქმნა დაცვის ცენტრში, მის ამოსავსებად კი ვიდრე **გოგლიჩიძე** მკურნალობს, დებიუტანტებს – **გადრანსა** და **ბერიაშვილს** დრო სჭირდებათ.

სხვათა შორის, **ვილი სანიოლს** საკუთარ შეგირდთა ინტენსივობა და მონდომება მოეწონა – ხომ იცით, სპეციალისტის თვალი სხვაგვარად ხედავს ყველაფერს, ხოლო ებრაელთა თავკაცმა **რან ბენ შიმონმა** შესანიშნავი მიღებისთვის მადლობა გადაგვიხადა.

* * *

**გვეგონა, მეორე დღეს ხასიათს რამაზ სვანაძის გაწვრთნილი 21-წლამდელები გამოგვიკეთებდნენ, რომლებიც ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ქუთაისში ლატვიას ხვდებოდნენ, მაგრამ იმედი იმედად დარჩა – 1:1.**

მატჩის შედეგზე გავლენა კვიპროსელი მსაჯის მიერ შესვენების წინ მინდვრიდან **გვასალიას** სადავო გაძევებამ იქონია. კიდევ კარგი, რომ 85-ე წუთზე ანგარიში ეგოიანმა გაათანაბრა...

* * *

**გვერდს ვერ ავუვლით იმ ბატალიებს, სადამდეც ჩვენთვის ჯერაც საკმაოდ შორია. საუბარია მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით პლეი-ოფებზე, რომლებიც ხვალ გაიმართება და წლევანდელი მუნდიალის უკანასკნელ მონაწილეებს გამოავლენს:**

**კოსოვო – თურქეთი,**
**შვედეთი – პოლონეთი,**
**ჩეხეთი – დანია,**
**ბოსნია – იტალია.**

შეგახსენებთ, რომ აპენინელებმა ბოლო 2 ფორუმი გამოტოვეს, ასე რომ, **ჯენარო გატუზოს** გუნდი რუბიკონს მიადგა...

# შორია კვანძის გახსნამდე

**ოთხი ტური და დასრულდება საკალათბურთო ევროლიგის რეგულარული სეზონი, მაგრამ პლეიოფში გამსვლელთა ვინაობა ბურუსითაა მოცული.**

**ბარსელონა-ცრვენა ზვეზდა 92:88. (დამატებით დროში)**

უშუალო კონკურენტთა ბრძოლაში მასპინძელთა თავკაცმა **ხავი პასკუალმა** ახალგამოჯანმრთელებულ **თორნიკე შენგელიას** სათამაშოდ სოლიდური დრო – 31 წუთი გამოუყო და მანაც გამოცხადებული ნდობა კატალონიელთა მწვრთნელს ძვირფასი 9 ქულით, 4 მოხსნითა და 2 ასისტით დაუფასა.

იმავე საღამოს სტამბოლში ლიდერ ფენერბახჩესთან უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა კაუნასის ჟალგირისმა (დამრიგებლის ასისტენტი **ანდრია ანთელაძე**), ხოლო მონაკოსა და მისი ახალი მესაჯის **მანუჩარ მარკოიშვილის** მოგებათა სერია ათენში პანათინაიკოსთან შეწყდა.

**სატურნირო ცხრილი:** ფენერბახჩე – 11, ოლიმპიაკოსი, რეალი – 12, ვალენსია, ჰაპოელი – 13, პანათინაიკოსი, ჟალგირისი, ბარსელონა – 14, მონაკო, ცრვენა ზვეზდა – 15, მაკაბი – 16, დუბაი, მილანი – 17, ბაიერნი, ვირტუსი, პარტიზანი – 20, პარიზი – 21, ეფესი, ბასკონია – 24, ლიონი – 26 წაგება.

რაც შეეხება დარჩენილ შეხვედრათა კალენდარს, ბარსელონა 2-2 მატჩს გამართავს შინ (პანათინაიკოსთან და ბაიერნთან) და სტუმრად (ჟალგირისთან და მონაკოსთან), ხოლო ჟალგირისი და მონაკო 3-ჯერ იქნებიან მასპინძელნი, რაც დიდი კოზირი გახლავთ.

# ახალი ერა ფორმულა – 1-ში!

**2026 წლის ფორმულა 1-ის იაპონიის გრან პრიც, ჩინეთის მსგავსად, იტალიელი კიმი ანტონელის ტრიუმფით დასრულდა. სუზუკას ლეგენდარულ ტრეკზე, სეზონის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და გარდამტეხი ეტაპი შედგა, სადაც ახალგაზრდა ტალანტმა კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.**

ანტონელიმ პოლ პოზიციიდან დაიწყო, თუმცა სტარტზე ცუდად გამოვიდა და მე-6 ადგილზე დაქვეითდა. მიუხედავად ამისა, მან რბოლა ტაქტიკურად იდეალურად წარმართა და საბოლოოდ მაინც მოიგო.

ეს ტრეკი ყოველთვის განსაკუთრებულ ისტორიებს წერს, გამონაკლისი არც 2026 წლის რბოლა იყო, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რატომ ითვლება ის ფორმულა 1-ის საკულტო ეტაპად.

შუა ფაზაში მომხდარმა ინციდენტმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ოლივერ ბერმანის ავარიის შემდეგ ტრასაზე სეიფთი ქარი ამოვარდა. ეს იყო ის მომენტი, რომელმაც რბოლის ბედი განსაზღვრა.

ანტონელიმ და მისმა გუნდმა სიტუაცია იდეალურად წაიკითხეს. მაშინ, როცა ზოგიერთი ლიდერი უკვე პიტ-სტოპიდან გამოსული იყო, ანტონელი ბოქსებში სწორ დროს შევიდა და სეიფთი ქარის პირობებში დაკარგული დრო მინიმუმამდე შეამცირა. როდესაც პელოტონი ხელახლა დალაგდა, მოულოდნელად სწორედ ის აღმოჩნდა საუკეთესო პოზიციაში.

ახლა ანტონელი ჩემპიონატში 9 ქულით უსწრებს რასელს და 19 წლის, 6 თვისა და 28 დღის ასაკში გახდა ყველაზე ახალგაზრდა ლიდერი – რეკორდი, რომელიც აქამდე ლუის ჰამილტონს ეკუთვნოდა 2007 წლიდან.

სუზუკას ბოლო წრეები ხშირად ფსიქოლოგიური გამოცდაა. ერთმა პატარა შეცდომამ შესაძლოა ყველაფერი დაასრულოს. მაგრამ ანტონელიმ მეტოქეებს არცერთი შანსი არ დაუტოვა. მისი ტრაექტორიები სუფთა იყო, ბალანსი – სტაბილური, ხოლო სიჩქარე – მუდმივად მაღალი. ფინიშის დრომდე ის უკვე სრულ კონტროლში იყო.

ამ გამარჯვებამ არა მხოლოდ ერთი რბოლის შედეგი განსაზღვრა, არამედ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ფორმულა 1-ში ახალგაზრდა პილოტების დომინაციას.



# მიზანი: კინომემკვიდრეობის აღდგენა-გავრცელება

**საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს, სს „ქართულ ფილმსა“ და შპს „ქართულ კინო დისტრიბუციას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, დოკუმენტს ხელი მოაწერეს კულტურის მინისტრის მოადგილემ **გიორგი მირცხულავამ**, კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორმა **მამუკა ბლიაძემ**, სს „ქართული ფილმის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ **ხათუნა ხუნდაძემ**, შპს „ქართული კინო დისტრიბუციის“ დამფუძნებელმა და დირექტორმა **ალექსანდრე გვარიშვილმა**, ასევე, ამავე კომპანიის დირექტორმა **ოთარ ლითანიშვილმა**.

თანამშრომლობის ფარგლებში, ეტაპობრივად განხორციელდება კინომემკვიდრეობის მასშტაბური აღდგენა-გაციფრულება და მისი ერთიან ციფრულ პლატფორმაზე განთავსება. დაგეგმილია 3 500-მდე მხატვრული და 27 000-მდე დოკუმენტური და საარქივო მასალის გაციფრულება.

**განსაკუთრებული მნიშვნელობის კინომასალა აღდგება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ არქივში დაცული მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე არ არის გაციფრულებული, ხოლო ზოგიერთი მათგანი ერთადერთი ეგზემპლარია და ფიზიკური დაზიანების მაღალი რისკის ქვეშაა.**

ინიციატივა ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკას, მათ შორის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და იტალიის წამყვანი კინოარქივების გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს როგორც კინომემკვიდრეობის ხელმისაწვდომობას, ისე ლიცენზირების, საავტორო უფლებების დაცვისა და მასალების სისტემატიზაციის ეფექტიან მექანიზმებს. გაციფრულება და ლიცენზირების პლატფორმის შექმნა საქართველოში კულტურისა და შემოქმედებითი ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს.

# მოხერხებული თაღლითები

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა, ხოლო სამი პირი, შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, დათხოვნილია უწყებიდან,** – ინფორმაციას ამის შესახებ შსს ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

**„გამოძიებით დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თანამშრომელმა – 1977 წელს დაბადებულმა დ.ი-მ, რომლის უფლებამოსილებაში მართვის უფლების აღების მსურველი პირებისთვის პრაქტიკული გამოცდის ჩატარება შედიოდა, ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და პრაქტიკული გამოცდის დროს მის მიერ ჩაჭრილ კანდიდატებს შეგნებულად აგზავნიდა მასთან დაახლოებულ პირთან პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად, საიდანაც მატერიალურ სარგებელს იღებდა.**

**ასევე, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში გამოიკვეთა მომსახურების სააგენტოს თანამშრომლების: გ.ს-ს, ლ.ყ-ს და ა.ბ-ს მიერ დისციპლინური გადაცდომის ნიშნები, რაც ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად დადასტურდა. აღნიშნული გადაცდომის შედეგად მომსახურების სააგენტოს მიერ სამ მოქალაქეზე არასწორად გაიცა მართვის მოწმობები.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თანამშრომლების, გ.ს-ს, ლ.ყ-ს და ა.ბ-ს მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური სახდელი – „სამსახურიდან დათხოვნა“,** – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# 28 წლის ირაკლი მელქაძე გარდაცვლილი იპოვეს

**სამტრედიის ერთ-ერთ სოფელში, მამაკაცი, რომელსაც სამი დღის განმავლობაში ეძებდნენ, გარდაცვლილი იპოვეს. 28 წლის მამაკაცმა სიცოცხლე, სავარაუდოდ თვითმკვლელობით დაასრულა.**



გარდაცვლილი ახალგაზრდა 28 წლის ირაკლი მელქაძეა. სამწუხარო ინფორმაცია სოციალურ ქსელში გავრცელდა.

**„ვუსამძიმრებ ოჯახს ამ დიდ ტკივილს. რა სამწუხაროა, ასეთი ახალგაზრდა. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს მის სულს,როგორი ტრაგედია დატრიალდა“,** – წერს სოციალურ ქსელში გარდაცვლილის ახლობელი.

# საჯარო შეტყობინება აუქციონის დანიშვნის შესახებ

**წინამდებარე შეტყობინებით, შპს „ემჯი ჰოლდინგი“, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სპეციალისტი, ამ შეტყობინებაში მითითებულ კრედიტორს, სარეალიზაციო უძრავი ქონების მესაკუთრეს, მოვალეს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ატყობინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹6 მუხლების საფუძველზე, კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მერაბ გეზელიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონის პირობები:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მერაბ გეზელიშვილი (პ/ნ 35001023911), ყვარლის რაიონი, სოფელი ჭიკაანი, მე-16 ქუჩა N3

**2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ყვარლის რაიონი, სოფელ ჭიკაანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 8406 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 57.03.59.000.036)

**3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 39331 ლარი.

**5. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2026 წლის 30 მარტი, 12:00 საათი.

**6. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2026 წლის 17 აპრილი, 14:00 საათი.

**7. აუქციონის ჩატარების ფორმა და მონაცემები:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე წ (განაცხადის **N71271HZP125131826**; აუქციონის ნომერი: 71271; ლოტის ნომერი: 1251318)

**8. მოვალე:** მერაბ გეზელიშვილი (პ/ნ 35001023911), ყვარლის რაიონი, სოფელი ჭიკაანი, მე-16 ქუჩა N3

**9. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**10. აუქციონის პირობები:**

10.1 აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

10.2 მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

10.3 აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

10.4 აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE17TB1188736020100003**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

10.5 აუქციონი გაუქმდება, თუ აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორი უკან გაიტანს მას.

10.6 აუქციონი შეწყდება, თუ აუქციონის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას.

10.7 ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2026 წლის 17 აპრილის 10:00 საათამდე წარმოადგინოს შპს „ემჯი ჰოლდინგში“, მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 40, სართული 11.

## არდავიწყება

# ვალერიან გრძელიშვილი



**რუსთავის ქალაქის სოციალურ სფეროს, მთელ საზოგადოებას ამ დღეებში გამოაკლდა უღირსეულესი ადამიანი, ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოღვაწე პიროვნება, ღირსების ორდენის კავალერი, რუსთავის საპატიო მოქალაქე ვალერიან გრძელიშვილი.**

**ონის რაიონის სოფელ სივაში დაბადებულმა და გაზრდილმა, მოგვიანებით თბილისის ნაძალადევის ვაჟთა სკოლა დაამთავრა, მერე – უმაღლესი სასწავლებლის ეკონომიკის ფაკულტეტი და პროფესიული არჩევანი ვაჭრობის დარგზე შეაჩერა.**

**გასული საუკუნის 50-იან წლებში რაჭიდან რუსთავში გადმოსახლებულმა გრძელიშვილების ოჯახმა, კერძოდ ვალერიანის მამამ თავად მიიღო მონაწილეობა ამ ქალაქის მშენებლობაში. ახალგაზრდობიდანვე რუსთავზე შეყვარებულმა მისმა ვაჟმაც, რიგითი მუშაკის მოვალეობიდან დაიწყო მუშაობა ვაჭრობის სისტემაში და ყველა საფეხურის გავლის შემდეგ, ჯერ – ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდეგ, ხანგრძლივად, სამმართველოს უფროსად იმუშავა. ის პერიოდია, როდესაც მშენებარე ქალაქში ამ დარგს 4-5 ათასი მუშაკი ჰყავდა. ბუნებით სერიოზული, გაწონასწორებული, პრინციპული ხელმძღვანელი, იმთავითვე ყველას და ყველაფერს ისე უძღვებოდა, რომ ქალაქში მომდურავი არავინ ჰყავდა, მისთვის ვაჭრობის სფეროში როგორც ხელმძღვანელის მუშაობა, თანამოქალაქეთა მაღალ დონეზე მომსახურებასა და მათი ინტერესების გათვალისწინებას ნიშნავდა, რაც ვაჭრობის საბჭოური სისტემის დარგის ხელმძღვანელ მუშაკს, ძალიან ეხმარებოდა რუსთაველებთან ერთგულ ურთიერთობაში.**

**ქალაქისათვის მუდამ მზრუნველი ვალერიან გრძელიშვილი, არაერთხელ გახდა კეთილი ფაქტებისა და მოვლენების უშუალო თაოსანი, მან რუსთავის დედაეკლესიის, ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიის დასაძირკვლებას და მის მშენებლობას 100 ათასი მანეთი შესწირა, მოგვიანებით მან რაჭაში აღადგინა მრავალძალის ეკლესია.**

**იგი ხშირად უწევდა დახმარებას 90-იან წლებში ქალაქში შექმნილ დემოგრაფიული საზოგადოების წევრ მრავალშვილიან დედებს, უშურველად ეხმარებოდა სოციალურად დაუცველ ოჯახებს, მარჩენალდაკარგულ ბავშვებს.**

**თანდაყოლილი შინაგანი კულტურა, ზრდილობა და პროფესიული განათლება ბატონ ვალერიანს მუდმივად ამშვენებდა და გამოარჩევდა მრავალთაგან პარტიის საქალაქო კომიტეტის სხდომებზე, საჯარო ღონისძიებებზე გამოსვლისას თუ მომხმარებლებთან საჯარო შეხვედრებისას. მას ძალიან უყვარდა თავისი ორგანიზაციის თანამშრომლები და საჭიროების შემთხვევაში ოჯახის წევრივით დგებოდა თითოეულის გვერდით.**

**იყო უჩვეულოდ გულისხმიერი მეუღლე და ორი ვაჟის მამა ყველა ახლობლისა თუ ნათესავისათვის გულისხმიერი მრჩეველი და მზრუნველი ადამიანი.**

**საქართველოს სიყვარულით ბატონ ვალერიანს ფეხით ჰქონდა შემოვლილი ჩვენი ულამაზესი კუთხეები, ხშირად სტუმრობდა ქვეყნის გამორჩეულ რელიგიურ, ისტორიულ, ეთნიკურ ძეგლებს. გამუდმებით კითხულობდა წიგნებს, პერიოდულ პრესას, მხატვრულ ლიტერატურას, დიდ პატივს სცემდა და აფასებდა რუსთავის მწერალთა შემოქმედებით ორგანიზაციას, იყო ჟურნალისტთა რჩეული რესპონდენტი.**

**სამწუხაროდ, მის ცხოვრებაში მომხდარმა უდიდესმა ტრაგედიებმა, ჯერ მეუღლე გარდაეცვალა, შემდეგ – ახალგაზრდა ვაჟი, ბატონი ვალერიანი გატეხა, იმ დრომაც უწია, როდესაც ვაჭრობის დარგი ე.წ. ახალ რელსებზე გადავიდა და ბევრი რამ სიახლით შეიცვალა. იგი ხანდაზმულიც კი, თბილისიდან კითხულობდა და ინტერესდებოდა რუსთაველთა ყოფით, საქმიანობით, მას სიცოცხლის ბოლო პერიოდში ძალიან უხაროდა რუსთავის აღმშენებლობა და ხშირად უხდიდა მადლობას სატელეფონო საუბრისას ქალაქის ხელმძღვანელობას.**

**დღეს მის გარდაცვალებას ყველა გულწრფელად განიცდის და თანაუგრძნობს გრძელიშვილების ოჯახს, ვაჟიშვილსა და ოთხივე შვილიშვილს, რომლებიც ძლიერ განიცდიან საყვარელი მამისა და ბაბუის დაკარგვას.**

**კიდევ ერთხელ თანავუგრძნობთ მისი ოჯახის ყველა წევრს, სანათესაოს, ბატონი ვალერიანის ახლობელ ადამიანებს.**

**ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული.**

**ვალერიან გრძელიშვილის მეგობრები, რუსთავის ვაჭრობის დარგის მუშაკები.**



# პატრიარქის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ ცენტრში

**„პიერ ჯესუ დომინე“ – „მოწყალეო უფალო იესო“ – ამ პრემიერით გაიხსნა ჯანსუღ კახიძის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში კონცერტი, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ხსოვნას მიეძღვნა.**

საღამოზე ვახტანგ კახიძის „რეკვიემი“ შესრულდა. კონცერტს თავად ავტორი დირიჟორობდა.

**მონაწილეობდნენ თბილისის სიმფონიური ორკესტრი, სახელმწიფო საგუნდო კაპელა, სოლისტი დაჩი ღლონტი, ქალთა ვოკალური კვარტეტი და მამაკაცთა ვოკალური სექსტეტი.**

# ქართული ხელოვნება დადიანების სასახლეების კოლექციებიდან

**31 მარტს საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით საქართველოს სასახლე-მუზეუმების გაერთიანება ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო ცენტრში გიწვევთ გამოფენის გახსნაზე „თანამედროვე ქართული ხელოვნება დადიანების სასახლეების კოლექციებიდან“ და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის კონსტანტინე გამსახურდიას საჯარო ლექციაზე: „ზვიად გამსახურდია, მებრძოლი სამშობლოსა და ერი-სახელმწიფოსთვის, მომავლის მოღვაწე.“**



გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება XX საუკუნის ქართული ფერწერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კოლექცია. კოლექცია ასახავს ქართული მხატვრობის განვითარებას სხვადასხვა თაობისა და მიმდინარეობების მიხედვით. აქ თავმოყრილია როგორც კლასიკური, ისე მოდერნისტული მხატვრობის წარმომადგენელთა ნამუშევრები – ელენე ახვლედიანის ლირიკული ქალაქური პეიზაჟებიდან და გივი თოიძის ისტორიულ-დოკუმენტური ხედვებიდან დაწყებული, თანამედროვე ავტორთა ინტერპრეტაციებით დასრულებული. კოლექციაში გამორჩეული ადგილი უკავია ელენე ახვლედიანს, რომლის შემოქმედება ქართულ ქალაქს პოეტურ სახეს სძენს და ევროპული მოდერნიზმის გავლენებს ადგილობრივ ტრადიციებთან აერთიანებს. კოლექციაში ასევე წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილი, ედმონდ კალანდაძე, გივი თოიძე და სხვა მნიშვნელოვანი მხატვრები, რომელთა ნამუშევრები ერთობლივად ქმნიან მრავალფეროვან სურათს XX საუკუნის ქართული ფერწერის ევოლუციაზე.

**გამოფენა გაიხსნება 14:00 საათზე. საჯარო ლექცია დაიწყება 15:00 საათზე. მის: ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო ცენტრი, ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას 1. დასწრება თავისუფალია!**

# „ბელა და მისი მეგობრები“

**4 აპრილს, 18:00 საათზე, კონსერვატორიის დიდ დარბაზში საქველმოქმედო კონცერტი – „ბელა და მისი მეგობრები“ გაიმართება.**




კონსერვატორიის ინფორმაციით, მონაწილეობენ: **ბელა მახარაძე,** ვიოლინო; **ნათია ქავთარაძე,** ფორტეპიანო; **გოჩა დათუსანი,** ბანი; **ნანა რაზმაძე,** მეცო-სოპრანო; **ბაჩო მენაბდე,** ფორტეპიანო; **ზურა დათიკაშვილი,** მომღერალი, ლოტბარი; **ანუკი ცქვიტინიძე,** მომღერალი; **გელა დონაძე,** მომღერალი; **გოგა მესხი,** მომღერალი; **თემურ გოგსაძე,** პოეტი.

პროგრამაშია: **ვივალდი, ბრამსი, გრიგი, კორსაკოვ-კრაისლერი, როსინი, ბიზე, ლეგარი, პიაცოლა, ბერკემერი, ხორბალაძე, გაბაიძე და სხვა. კონცერტი იმართება თბილისის მერიის მხარდაჭერით.**

# 1 აპრილიდან წამლის გამოწერის ახალი რეგულაცია შედის ძალაში

**ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, ცვლილების თანახმად, რეცეპტით მედიკამენტის გაცემის მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრა: სრულწლოვანი პაციენტისთვის არაუმეტეს 14 დღის მარაგით, ხოლო არასრულწლოვანისთვის არაუმეტეს 30 დღის მარაგით. ახალი რეცეპტის გამოწერა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს დარჩენილი აქვს არაუმეტეს 5 დღის მარაგი.**

ამავე წესით, გამოწერილი ფსიქოტროპული მედიკამენტის სადღეღამისო დოზა არ უნდა აღემატებოდეს ამავე პრეპარატის ინსტრუქციით განსაზღვრულ მაქსიმალურ ზღვარს. კონკრეტული მედიკამენტის დანიშვნის აუცილებლობა კი ექიმის მიერ დასაბუთებული უნდა იყოს პაციენტის სამედიცინო ისტორიაში. დოზის ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, ექიმმა უნდა გაითვალისწინოს პაციენტთან არსებული დარჩენილი მედიკამენტის რაოდენობა.

**რეგულაცია ასევე განსაზღვრავს წესებს იმ შემთხვევებისთვის, როდესაც პრეპარატი დაკარგულია, დაზიანებულია ან განადგურებულია.**

# „ოქროს არწივი 2026“



**„ოქროს არწივი 2026“ – თბილისში, მამაკაცთა სახალხო დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.**

დაჯილდოება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ხსოვნას მიეძღვნა.

**ჯილდო ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებების ღირსეულად შესრულების ნიშნად 20 კაცს გადაეცა.**

# ანსამბლ „ხულოს“ დაარსებიდან 40 წელიწადი გასულა!..

**ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ანსამბლ „ხულოს“ დაარსებიდან 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით კონცერტი გაიმართა,** – ინფორმაციას ხულოს მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, ღონისძიების დასაწყისში ადგილობრივი თვითმმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ხსოვნას.

იუბილისადმი მიძღვნილ კონცერტზე შესრულდა ქართული ფოლკლორის ნიმუშები და ანსამბლის რეპერტუარიდან გამორჩეული ნომრები. ანსამბლი „ხულო“ დღესაც აქტიურად მონაწილეობს მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში და აგრძელებს ქართული ტრადიციული მუსიკის პოპულარიზაციას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სცენაზე.

ღონისძიებას ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საქართველოს პარლამენტის წევრ ანზორ ბოლქვაძესთან, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.



**ანსამბლი „ხულო“ 1985 წელს ჩამოყალიბდა და თავდაპირველად 40 წევრისგან შედგებოდა. მრავალწლიანი ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად, ანსამბლმა დაიმსახურა აჭარის სახალხო მომღერლის წოდება და მიენიჭა დამსახურებული სახალხო მომღერლის დიპლომი.**

**ვახტანგ ბერიძემ ანსამბლ „ხულოს“ საიუბილეო თარიღი მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოებეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„ფავორიტში“
აბელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com

ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 1 აპრილს